# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№49-50 (10052-10053) 2026 წლის 30 აპრილი, ხუთშაბათი


## სუვერენიტეტი იწყებოდა ასე...



აკადემიკოსი
ჯონი ხეცურიანი

# 35 წელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან

8 10



ჯუმბერ სარდლიშვილი

## ჩემო პატრიარქო, ვამაყობ შენით!

დედაქალაქი ცრემლით იტბორება,
ხალიჩაზე სძოვენ თეთრი ვარდები.
და ვიდრე წავა, წავა ამ ქვეყნიდან,
სიყვარულს მიხსნის დიდი ქართველი.

თეთრი ყვავილებით აფეთქდა ქუჩა.
რარიგ უხდება ყვავილი გაზაფხულს!..
შენ მაგრძნობინე, რა დიდი ფასი აქვს
ცრემლებით განბანილ კაცის სიხარულს.

ცრემლი სიამაყეს იწვევს დუელში,
დღეს საქართველო ჭირისუფალია.
არ ვიცი მე რა მჭირს, რა მემართება,
თვალი ტირის და გულს უხარია.

ქართველმა, ხშირად, გაგიჟება იცის,
ჭიანჭველასავით, მძიმეს მიათრევს.
შეიძლება ტანჯვას გაუძლოს, მაგრამ
უსიყვარულოდ, დიდხანს ვერ გაძლებს.

თეთრი ვარდები ცრემლში ბანაობენ,
კაცი მიდის და თვალი უკან რჩება.
ამ უთავბოლო მოცვლა-ბრუნვაში
ყოვლის შემძლე ღმერთი იმალება.

წადი, პატრიარქო, ვამაყობ შენით!
სხეულის გარეშე სული ლაღია,
ცრემლებისათვის მადლობას ნუ მეტყვი,
ასე რომ მიყვარხარ, შენი ბრალია!

იხ. 13 გვ.

## ვინ ანგრევს ახალგაზრდობის ჯანმრთელობას?!



იხ. 11 გვ.

თეიმურაზ ჯანელიძე:

## თუ მომეც, რაღათ წამართვი!!!




იხ. 4 გვ.



იხ. 5 გვ.

ირაკლი ყიფიანი:

## ბრბოს ტაში და ეშაფოტის ბრუხუნი

შალვა პაპუაშვილი:



## იმათ არ ესმით, რას ნიშნავს საქართველო!

იხ. 2 გვ.

## ბზარები ოპოზიციურ ერთობაში

„კოალიცია ცვლილებებისთვის" დაპირისპირებისა და გაურკვევლობის ეპიცენტრში



3

## კვარადონადან – კვარტანიანამდე



იხ. 14 გვ.

საქართველოში ფიფას 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება!

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს რესპუბლიკა — ბრძოლა სიტყვით! №49-50. ხუთშაბათი. 30 აპრილი. 2026 წელი

# ნომრის პოლიტიკური ციტატები

### ირაკლი კობახიძე:

## რადიკალურ ოპოზიციას არა აქვს ხალხთან ურთიერთობის რესურსი, თავად მიიყვანეს აქამდე საკუთარი თავი, რადგან სიკეთე არაფერი გაუკეთებიათ ამ ქვეყნისთვის, ბოროტება — ბევრზე ბევრი!..



**მთავრობაში არაერთი საკადრო ცვლილება განხორციელდა, ლოგიკურია, რომ ფართო გუნდიდან ხდება კადრების შერჩევა, რადიკალური ოპოზიციის ალიანსიდან ჩვენ კადრებს ვერ შევარჩევთ.**

* * *

**შეუძლიათ, ნებისმიერი სახელი და გვარი დაწერონ საკუთარ ვებგვერდებზე, მაგრამ გვაინტერესებს, როდის მოახერხებს გერმანული ბიუროკრატია, გამოვიდეს კომიკური მდგომარეობიდან?!**

* * *

**როდესაც უპირისპირდები ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ქვეყნის იდენტობასთან, დედაეკლესიასთან, იქ პოლიტიკურ წარმატებაზე ვერავითარი ამბიცია ვეღარ გექნება!**

რადიკალური ოპოზიციის ეს კონკრეტული წარმომადგენელი (გიგი უგულავა) როდესაც ასეთი განცხადებებით გამოდის ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებით, ესეც მიანიშნებს იმაზე, რომ ამ გაერთიანებას, რადიკალურ ოპოზიციას, კოლექტიურ „ნაცმოძრაობას“ არავითარი პერსპექტივა არ აქვს!

* * *

**ყველანი ვხედავთ, რა მდგომარეობაა უკრაინასა და მოლდოვაში, ასეთ დროს საუბარი იმაზე, რომ მოლდოვა ან უკრაინა ასწრებს საქართველოს, არის ცარიელი სპეკულაციები.**

ყველანი ვხედავთ, რა მდგომარეობაა უკრაინასა და მოლდოვაში. უკრაინაში, სამწუხაროდ, უმძიმესი მდგომარეობაა. 2022 წლის შემდეგ, იცით, როგორ მძიმედ განვითარდა პროცესები ამ ქვეყანაში, რაც ჩვენთვის არის ძალიან გულდასაწყვეტი. ეს არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა, ჩვენი მეგობარი ხალხი, თუმცა ხედავთ, რა მდგომარეობაა – ჩამოქცეულია ეკონომიკა, დანგრეულია ინფრასტრუქტურა, კორუფცია ყვავის, ეს არის ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც დღეს არის უკრაინაში.

რაც შეეხება მოლდოვას, მოლდოვაც არის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანა, ეს აისახება, მათ შორის, ეკონომიკურ ზრდაზე. ჩვენ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2022 წლიდან მოყოლებული, მოვახერხეთ, დაახლოებით 14 მლრდ დოლარით გაგვეზარდა სხვაობა საქართველოსა და მოლდოვის ეკონომიკებს შორის. ეს არის, რა თქმა უნდა, მათ შორის, კორუფციის შედეგი, ინსტიტუციური კრიზისის შედეგი, რომელიც შექმნილია მოლდოვაში, ეს არის საერთო სურათი.

ასეთ დროს საუბარი იმაზე, რომ მოლდოვა ან უკრაინა წინ უსწრებს საქართველოს, არის ცარიელი სპეკულაციები.

* * *

**2028 წელს არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს ჯანსაღმა პოლიტიკურმა სპექტრმა, დემოკრატიულ სისტემაში კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ადგილი არ უნდა იყოს!**

* * *

**განსაკუთრებული მიღწევაა, რომ საქართველო სომხეთთან ერთად უმასპინძლებს 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს, მადლობას ვუხდი სპორტის მინისტრს, ფეხბურთის ფედერაციას!**

* * *

**სამართალდამცავი სისტემა ძლიერდება ახალი რგოლის დამატებით, ეს მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმაა, დანარჩენი არის სპეკულაციები!..**

### შალვა პაპუაშვილი:

## იმათ არ ესმით, რას ნიშნავს საქართველო!



**ოპოზიციას ბრიუსელიდან და სხვა ქალაქებიდან, როგორც სტილი, ჩამოყალიბებული აქვს სალონური საუბრები. მათ არ ესმით, რას ნიშნავს საქართველო, ქართველი ხალხი, მათთან ურთიერთობა.**

ფორმალობისთვის უნდა მოიმიშნონ, რომ ჰქონდათ რაღაც შეხვედრა, შეატყობინონ თავიანთ დამფინანსებლებს, თითქოს შეხვედრა ჰქონდათ. ამიტომაც არ უნდათ სხვების ყოფნა, რათა მერე შეძლონ გაბევრება შეხვედრაზე მყოფი ადამიანების. ეს არის რადიკალების სალონური შეხვედრები, რომლებიც მოწყვეტილი არიან ქართულ რეალობას და ჰგონიათ, რომ ჰერჩინსკი თუ ორ ტკბილ სიტყვას ეტყვის, ეს არის ხელისუფლებაში მოსვლის საწინდარი. არადა, პირიქით არის, რამდენჯერაც მათ ჰერჩინსკი თუ სხვა ელჩი შეაქებს, იმდენი ხმა დააკლდებათ მოსახლეობისგან, ვინაიდან საქართველომ, დიდი ხანია, უარი თქვა სატელიტობაზე, ვასალობაზე, როცა საბჭოთა კავშირი დავტოვეთ არა დაშლის შედეგად, არამედ ჩვენი გაცნობიერებული გადაწყვეტილებით. ვასალობაში ვერავინ მიგვაბრუნებს!

* * *

**მინდა, ვუთხრა ყველას, საქართველო არასდროს დადგება უკრაინისა და მოლდოვის გზაზე, რომელიც ტერიტორიების დათმობით, სახელმწიფოს გაუქმებით ევროკავშირში წევრობას გულისხმობს.**

* * *

**პოლონეთის მთავრობამ ქართველ საზოგადოებაზე ზემოქმედებისთვის პროპაგანდისტული ინსტრუმენტი შექმნა.**

უცხო ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ანუ, პოლონეთის მთავრობამ ქართველ საზოგადოებაზე ზემოქმედებისთვის პროპაგანდისტული ინსტრუმენტი შექმნა. ამ პროპაგანდისტული მედიის სახე არის ნათია კობერიძე, ადამიანი, რომელიც საქართველოში გაიგივებულია დეზინფორმაციასთან, პროპაგანდასთან და ისტერიის დათესვასთან.

ესეც აჩვენებს, თუ რა არის განზრახვა. ევროკავშირის ელჩის განცხადება ვნახეთ, სადაც სამოქალაქო ომით დაგვემუქრა. პაველ ჰერჩინსკი არის პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. ის მივლინებულია ევროკავშირში, თუმცა პოლონეთის საგარეო უწყების თანამშრომელია. იმ სამინისტროსი, ვინც ეს პროპაგანდისტული იარაღი ჩამოაყალიბა მთავარი პროპაგანდისტის ნათია კობერიძის ხელმძღვანელობით.

ეს არის ანალოგი ე.წ. ათასი გორცვის რადიოსი, რომელიც რუანდაში შეიქმნა იმისთვის, რომ შუღლი გაეღვივებინა საზოგადოებაში მტრობის სახით. ის გენოციდი ამ რადიომ მოიტანა, რაც რუანდაში გენოციდის სახით მოხდა. პოლონეთის საგარეო უწყებამ პროპაგანდისტული იარაღი შექმნა, რათა საქართველოში ზიზღის პროპაგანდა მოხდეს. ამის პარალელურად, პაველ ჰერჩინსკი სამოქალაქო ომით გვემუქრება, ევროკომისიის პრესსპიკერი 4 ოქტომბრის დამხობის დაანონსებულ აქციას მხარს უჭერდა. საქმე გვაქვს ზიზღის პროპაგანდის ინსტრუმენტთან, რომელიც შეიქმნა. ფაქტია, რომ ეს არის კიდევ ერთი მტრული ნაბიჯი ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

პოლონეთის მთავრობის მიერ მოწყობილი სპეცოპერაცია გავიხსენოთ, როცა სააკაშვილთან სპეცაგენტი ექიმები შეუშვეს, რომლებიც მასალების გამოტანას ფარულად ცდილობდნენ. აშკარა მაგალითია, რომ საქართველოში უნდათ ზიზღის პროპაგანდა. სახელმწიფო პროპაგანდა რას ნიშნავს, ეს არის ნათელი მაგალითი. ნათია კობერიძე ამას ემსახურება. „მოდელირებული ქრონიკის“მიზანი რაც იყო, ეს მიზნები გადატანილი აქვთ....

* * *

**...ყველა უნდა შეეშვას იწილოგიწილოს თამაშს, გასაგებია, რასთან გვაქვს საქმე. გერმანიის მთავრობა არ აღიარებს ქართველი ხალხის სუვერენიტეტს და ეს არის ფაქტი.**

„ფაქტობრივად, ეს ნიშნავს, რომ გერმანია, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გვერდში მდგომი იყო, დღეს, ერთი მხრივ, გამოდის საქართველოს დამოუკიდებლობის ხელმყოფად, მეორე მხრივ, ქართველი ხალხის ღირსების შემლახავად. ეს ნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობა ქართველ ხალხს უყურებს, როგორც რაღაც მეორე კატეგორიის ხალხს, რომელსაც არა აქვს უნარი, უფლება, თავად განსაზღვროს, ვინ არის მისი ხელისუფლება და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდმა უნდა განსაზღვროს, ვინ არის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი თუ საგარეო საქმეთა მინისტრი. ეს არის დიდი სირცხვილი“

გერმანიას ჯერ აქვს შესაძლებლობა, აჩვენოს, რომ არის დემოკრატიის, დემოკრატიული ევროპის ერთგული თუ უბრუნდება თავის ბნელ წარსულს, რომ არ აღიარებს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს, სხვა ხალხების სუვერენიტეტს, ღირსებას, თავად განსაზღვრონ საკუთარი ბედი და ხელისუფლება...

* * *

**რადიკალურ ოპოზიციას ეკლესიის მიმართ რა ზიზღიც აქვს, ვიცით, ეკლესიას შეურაცხყოფას აყენებენ, ქართველი ხალხის რეაქციას ეგუებიან, რათა თავი მოაწონონ უცხოელ დამკვეთებს.**

საზოგადოებას და მედიას მოვუწოდებ, ამ ყველაფერს მშვიდად შევხედოთ. რადიკალურ ოპოზიციას ქართული ეკლესიის მიმართ რა ზიზღიც აქვს, ვიცით. ისინი ხელისუფლებაში როცა იყვნენ, რას აკეთებდნენ, ვიცით და ოპოზიციაში რასაც ცდილობენ, ამასაც ვხედავთ. ახალი არაფერია იმაში, რომ რადიკალურ ოპოზიციას ეკლესიის მიმართ ზიზღი აქვს ჩამოყალიბებული.

დავაკვირდეთ, გიგი უგულავას, არჩილ გამზარდიას და სხვებს, ამ ხალხს ვინ ჩამოართმევს ხელს, რომელი უცხოელი. იციან, რომ ამ განცხადებების გამო ქართველები შეაჩვენებენ, მაგრამ ეკლესიას შეურაცხყოფას აყენებენ. ქართველი ხალხის რეაქციას ეგუებიან, რათა თავი მოაწონონ უცხოელ დამკვეთებს. ამიტომ შევხედოთ, ვისთან იქნებიან, რომელ საელჩოში შევლენ-გამოვლენ, ვინ ჩამოართმევთ მათ ხელს. ვიცოდეთ, ვინც მათ ხელს ჩამოართმევს, ისინი არიან ელჩები და უცხოელები, რომლებიც აქეზებენ, აფინანსებენ და მხარს უჭერენ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ კამპანიას. ოპოზიციის ნირი ვიცით. ახლა დავაკვირდეთ, მათი შემკვეთი ვინ არის. ეს შეკვეთა უცხოეთიდან მოდის.

29.IV.2026 წ.

## საქართველოში ნავთობისა და გაზის ძიებას ამერიკული კომპანია ASPECT GEORGIA LLC დაიწყებს

„ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს.

**მათივე ცნობით, კომპანია იმ ინვესტორთა ჯგუფს შეუერთდა, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში XIQ სალიცენზიო ფართობზე ლიცენზიით გათვალისწინებულ სამუშაოებს ახორციელებენ. Aspect Georgia LLC-ს გადაეცემა სამი კონტრაქტორი კომპანიის „Georgia Oil and Gas Limited-ის, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და GOG SLADS Limited-ის ერთობლივი პროექტის წილი. აღნიშნულ კონტრაქტორებს შორის XIQ სალიცენზიო ფართობზე „პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება“2021 წლის 23 დეკემბერს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ ჩატარებული ღია საერთაშორისო ტენდერის შედეგად გაფორმდა. კომპანია ოპერირებს აშშ-ში, ცენტრალურ ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთში.**





## ზურა პატარაძე აჭარის ლიდერი მეორედ გახდა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ ზურა პატარაძე აირჩიეს. ამ პოსტზე პატარაძე 13 ხმით იქნა არჩეული. მანამდე, მან დეპუტატებს სამთავრობო პროგრამა გააცნო მან.

# საქართველოში ფიფას 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება!



## თბილისის მერიაში მთავრობის სხდომა გაიმართა

**თბილისის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ პირველი მაისიდან ფილტვის კიბოს სკრინინგის დაფინანსება იწყება.**

მისი თქმით, უფასო სკრინინგი ჩაუტარდება დედაქალაქში რეგისტრირებულ 45-დან 75 წლის ასაკის ჩათვლით თამბაქოს აქტიურ მომხმარებლებს ან იმ მოქალაქეებს, რომლებმაც თამბაქოს მოხმარებას ბოლო 15 წელია, თავი დაანებეს.

**„ჩვენი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პროექტების საშუალებით არაერთ ოჯახსა და ადამიანს დავეხმარეთ. თბილისის მერია ამჯერად ფილტვის კიბოს სკრინინგის დაფინანსებას იწყებს. პროცედურა პირველი მაისიდან მოქალაქეებისთვის სრულიად უფასო იქნება და მას „დაავადებათა სკრინინგის“ პროგრამის ფარგლებში, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური დააფინანსებს. ფილტვის კიბოს სკრინინგის უფასოდ ჩატარების შესაძლებლობა ექნებათ დედაქალაქში რეგისტრაციის მქონე 45-დან 75 წლის ასაკის ჩათვლით თამბაქოს აქტიურ მომხმარებლებს ან იმ მოქალაქეებს, რომლებმაც თამბაქოს მოხმარებას ბოლო 15 წელია თავი დაანებეს“** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მისი თქმით, სკრინინგის პროგრამის დეტალები, მათ შორის ასაკი, ონკოლოგიის, რადიოლოგიისა და პულმონოლოგიის დარგის წამყვან სპეციალისტებთან კონსულტაციებისა და მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად განისაზღვრა. ასევე, შეირჩა წამყვანი კლინიკები და საუკეთესო გამოცდილების მქონე სპეციალისტები.

**„სკრინინგის ფარგლებში ჩატარდება დაბალდოზირებული კომპიუტერულ-ტომოგრაფიული გამოკვლევა, რომელსაც ორი რადიოლოგი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წაიკითხავს. განსხვავებული შეფასების შემთხვევაში, მესამე რადიოლოგის ჩართვით, კონფერენცია გაიმართება. ფილტვის კიბოს სკრინინგის პროგრამაში ჩასართავად, თბილისის მერიამ წამყვანი კლინიკები შეარჩია, რომლებიც საუკეთესო გამოცდილების მქონე სპეციალისტების და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ამ ეტაპზე პროგრამას თბილისის სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მდებარე 16 სამედიცინო დაწესებულება მოემსახურება“** – აღნიშნა **კახა კალაძემ.**

მან ასევე აღნიშნა, რომ ფილტვის კიბო, ონკოლოგიური პათოლოგიებით გამოწვეული ლეტალობის მხრივ, მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ხოლო სკრინინგი დაავადების განვითარების მაღალი რისკის მქონე პირებში ადრეულ გამოვლენას უწყობს ხელს და 70%-მდე ზრდის სიცოცხლის გახანგრძლივების მაჩვენებელს.




მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა ფეხბურთის გულშემატკივრებს ფიფას 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი 2029-ის საქართველოში ჩატარება მიულოცა.

**„გილოცავთ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, საქართველო 20-წლამდელთა მსოფლიო თასის სახით, ფიფასს ეგიდით გამართულ მსოფლიო რანგის ტურნირს უმასპინძლებს. ჩვენთან ერთად მასპინძელი ქვეყანა სომხეთი იქნება. მსოფლიო დონის მსგავსი ტურნირის მასპინძლობა უდიდეს პატივთან ერთად არის დიდი პასუხისმგებლობა. მინდა, მადლობა გადავუხადო ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, ფიფას მხარდაჭერისთვის. ეს არის დასტური იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება უდიდეს ძალისხმევას წევს სპორტის მიმართულებით, მათ შორის ფეხბურთის განვითარებისთვის, ახალი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად ქალაქებსა და რაიონებში“.**

# ტრამპების ოჯახური ბიზნესი შეიარაღების სექტორში

**პენტაგონმა აშშ-ის ისტორიაში ყველაზე დიდი თავდაცვის ბიუჯეტი წარადგინა, რომლის მოცულობა 1.5 ტრილიონი დოლარი იქნება. აქედან, 75 მილიარდი დოლარი მხოლოდ დრონებისთვისაა განკუთვნილი.**




ეს თანხა თითქმის 3-ჯერ მეტია აშშ-ის დრონების ინდუსტრიის მთლიან საბაზრო კაპიტალიზაციაზე. უპრეცედენტო ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე **ორი თვით ადრე, ერიკ ტრამპმა** ისრაელის დრონების მწარმოებელ კომპანიაში, სახელწოდებით Xtend-ში დიდი ოდენობის ინვესტიცია განახორციელა, რომელიც საკუთარი დრონების უპირატესობად **„დაბალი ფასს მიიჩნევს თითოეულ მოკვლაზე“ და რომელსაც უკვე ჰქონდა პენტაგონთან კონტრაქტი.** მისი ძმა **დონალდ ტრამპ უმცროსი დრონების სხვა კომპანიის საკონსულტაციო საბჭოს წევრია, რომელიც გეგმავს Xtend-თან 1.5 მილიარდი დოლარის სანაცვლოდ გაერთიანებას.**

**ტრამპის ორივე ვაჟი ახლა იმ სამხედრო ინდუსტრიულ სექტორში საქმიანობს, რომელსაც მათი მამის პენტაგონი ფულით ავსებს“.**



# ბზარები ოპოზიციურ ერთობაში

## „კოალიცია ცვლილებებისთვის“ დაპირისპირებისა და გაურკვევლობის ეპიცენტრში

**ქართულ პოლიტიკურ ველზე ვითარება კიდევ უფრო იძაბება. ბოლო პერიოდში ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე მოვლენები მიანიშნებს, რომ „ოპოზიციური ალიანსი“, რომელიც ერთობის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო, სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. მმართველ პარტიაში მიაჩნიათ, რომ ალიანსი ჩამოშლის პირასაა, თავად ოპოზიციაში კი „ურთიერთბრალდებების კამპანიაზე“ საუბრობენ. ანალიტიკოსთა ნაწილი პროგნოზირებს, რომ ასეთ პირობებში ერთობის შენარჩუნება, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდება.**

### ნიკა მელიას მკაცრი პასუხი ციხიდან

**დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი ნიკა მელიასა და ანა წითლიძეს შორის საჯარო პოლემიკა გახდა. ნიკა მელიამ ციხიდან წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ანა წითლიძის ბრალდებებს უპასუხა.**

წითლიძის განცხადებით, 2024 წელს, „კოალიცია ცვლილებებისთვის“ მაღალი პროცენტი პირადად ბიძინა ივანიშვილმა დაუწერა, რათა მას „ნაციონალური მოძრაობისთვის“ გადაესწრო. მელია ამ განცხადებას ცილისწამებას და უზნეო ბრალდებას უწოდებს:

**„ორი კვირაა, მესმის პირდაპირი და შეფარული ცილისწამება, თანაც ძალიან უსუფთაო. უკანასკნელი ასეთი უზნეო ბრალდება მოვისმინე პარასკევს, „კოალიცია ცვლილებების“ მიმართ, რასაც პირადად ჩემ თავზეც ვიღებ და ვპასუხობ ამ უკვე ლაგამაწყვეტილ ბინძურ კამპანიას. პოლიტიკურმა ლიდერმა კონკრეტული პარტიიდან – „ნაციონალური მოძრაობიდან“ გაბედა და თქვა, რომ 2024 წელს, პირადად ბიძინა ივანიშვილმა დაუწერა N4-ს „ნაციონალურ მოძრაობაზე“ მაღალი პროცენტიო. აი, ადგა და პირდაპირ ეთერში კრიტიკული არხისა, თქვა ეს ტარაკუჭობა, უაპელაციოდ გაადენინა ზაპანი ამ შხამს. ეს პოლიტიკოსი ზუგდიდელია, ჩემთვის ამ ძვირფას ქალაქში, 2024 წლის კამპანიაში, ერთი თვე ვიცხოვრე. უშუალოდ ქალაქ ზუგდიდში 27% დაგვიფიქსირდა, მის პარტიას კი 10%“** – განაცხადა მან.

აღნიშნულ ბრალდებებზე ანა წითლიძემ სოციალურ ქსელში მოკლე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ ამ თემაზე საჯაროდ და სრულად მხოლოდ მას შემდეგ ისაუბრებს, რაც ნიკა მელია საპატიმროს დატოვებს.

### ნიკა გვარამია და „ურთიერთდაჭმის“ საფრთხე

**შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა კოალიციის კიდევ ერთი ლიდერი ნიკა გვარამია. მისი თქმით, ოპოზიციურ სპექტრში მიმდინარე პროცესები არა მხოლოდ ალიანსს, არამედ მთლიანად საპროტესტო მუხტს აზიანებს. გვარამია მიიჩნევს, რომ ეს დაპირისპირება შესაძლოა მართულიც იყოს, რადგან მსგავსი დამთხვევები იშვიათია.**

გვარამიამ ვრცლად ისაუბრა იმ სირთულეებზე, რაც ალიანსის შიგნით არსებობს:

**„შევხედოთ, ჩემთვის სრულიად გაუგებარ, ურთიერთგაშავების კამპანიას ოპოზიციაში, მარტო ალიანსში არა, მაგრამ განსაკუთრებით ალიანსის მიმართ და არა მხოლოდ შიგნით, ვგულისხმობ, სხვების განცხადებებსაც და მეორე მხრივ, შევხედოთ, პროტესტში რა ხდება - ურთიერთდაჭმა, ასევე. ასეთი რაღაცები, თან ასე ურთიერთდამთხვევით დროში და თითქმის თემებსა და მეთოდებშიც, არასდროს არ ხდება შემთხვევით. ადამიანები, რომლებიც ვიბრძვით მომავლისთვის, არ შეიძლება წარსულში ჩაბრუნებული მზერით ვიყოთ მუდმივად. ჩვენ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვაქვს, ვიდრე ჩვენი ნერვებისა და გულის მოფხანაა. ალიანსში პროცესები რთულია, მე კიდევ განვმეორდები და ვიტყვი, არავის არ ეგონა, რომ ცხოვრება მარტივი იქნებოდა, არც ახლა არ მგონია, ერთადერთი, რაზეც ვფიქრობ, არის ის, რომ ალიანსი შენარჩუნდეს, ეს არის ჩემი ამოცანა“** – განაცხადა **გვარამიამ.**

მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ კოალიციაში შემავალი ადამიანების დიდ ნაწილს წარსულში ერთმანეთთან კომუნიკაციაც კი არ ჰქონდა, თუმცა ქვეყნის მომავლისთვის ერთობა აუცილებელი პირობაა.

**„მე არ მომიგონია ეს ალიანსი, მე რომ გამოვედი, დამხვდა იმ შემადგენლობით და იმ სურვილით, რომ ეს ხალხი ყოფილიყო ერთად. ალიანსის შექმნისთანავე იყო იმისი საფრთხე, რომ ვერ შენარჩუნებულიყო იმიტომ, რომ უამრავი ისეთი ადამიანია, რომელიც იქ მოხვედრამდე, უბრალოდ, გამარჯობას არ ეუბნებოდა ერთმანეთს, მაგრამ თუ წარსულში ჩავრჩით და ჩვენი ტრავმებით ვიცხოვრეთ, ქვეყანა ჩარჩება წარსულში იმიტომ, რომ სხვა გზა ერთიანად ამ ქვეყნისა გამოყვანისა ამ პრობლემიდან, უბრალოდ, არ არსებობს. ყველას მინდა შევახსენო, რომ ჩვენს კოალიციას აბრალებდნენ, თითქოს, 2024-ში არ შედგა ერთობა. აი, ეს რომ მომხდარიყო წინასაარჩევნო კამპანიაში, როგორი საარჩევნო კოლაფსი იქნებოდა, ყველამ იფიქროს ამაზე“** – განაცხადა მან.

### „ალიანსი ფარსი იყო“!

**პარალელურად, მმართველ გუნდში ოპოზიციაში მიმდინარე რყევებს ლოგიკურს უწოდებენ.**

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა **ნინო წილოსანმა** განაცხადა, რომ ოპოზიციური ერთობის მცდელობა თავიდანვე განწირული იყო და ის მხოლოდ ამომრჩევლის მოსატყუებლად შექმნილ ფარსს წარმოადგენდა. მისი თქმით, ეს დაპირისპირება შიდაპარტიული ბრძოლის გაგრძელებაა. წილოსანის შეფასებით:

**„ეს ალიანსიც ფარსი იყო და მალევე ჩამოეშალათ. რა თქმა უნდა, ესენი არიან „ნაცმოძრაობის“ სხვადასხვა მიმართულებები, რომლებიც საკუთარ ბელადსაც უჯანყდებიან. ბუნებრივია, რომ მიხეილ სააკაშვილის ყველაზე ფუნდამენტალისტი მიმდევრები ახლა კატეგორიული მესიჯებით გამოდიან და ალიანსის დანარჩენ წევრებთან, რომლებიც, თითქოს, აჯანყებულებად გვევლინებიან, განსაკუთრებულ დაპირისპირებაში მოდიან. თავისთავად, მოძალადე ადამიანების ეს პოლიტიკური დაჯგუფება არის ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არც ერთმანეთთან არიან ჰარმონიაში. იმაზე უკვე აღარ ვსაუბრობ, რომ მათი მოქმედებები ქართველი ხალხის და მთლიანად საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული“** – განაცხადა **წილოსანმა.**

### „რეინკარნაციის“ ფუჭი მცდელობა

**ანალიტიკოს ედიშერ გვენეტაძის შეფასებით, ოპოზიციური ალიანსის შიგნით არსებული ქაოსი არა შემთხვევითი უთანხმოება, არამედ წლების განმავლობაში დაგროვილი ურთიერთსიძულვილისა და დაუკმაყოფილებელი ამბიციების ლოგიკური შედეგია. ექსპერტი მიიჩნევს, რომ ალიანსის წევრებს შორის არსებული შური და ლიდერობისთვის დაუნდობელი ბრძოლა ნებისმიერ ერთობას წინასწარ განწირულს ხდის.**

იხ. 4 გვ.




# თუ მომეც, რაღათ წამართვი!!!

**ახალი წელი ბედობისაა, როგორი განწყობითაც შეხვდები, მთელი წლის განმავლობაში ისეთივე განწყობით იქნებიო, თქვა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ოტია იოსელიანმა.**

**სავარაუდოდ,** ამიტომაც არის, ყველა შესაძლო გზით რომ ვცდილობთ, პოზიტიური განწყობა შევინარჩუნოთ და დამდეგ ახალ წელს დადებითი ემოციებით შევხვდეთ.

არაერთი ცხოვრებისეული სირთულის მიუხედავად, ასე იქნებოდა 2026 წლის შემთხვევაშიც, ისეთი გარემოება რომ არა, რამაც გასული საუკუნის შავბნელი 90-იანები და ყბადაღებული მეცხრე ბლოკი გამახსენა. კერძოდ, 29 დეკემბრის დილის 11 საათზე ავარიულად გამორთული ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ 75 საათის შემდეგ, პირველი იანვრის 14 საათზე გახდა შესაძლებელი ანუ 2026 წელს სანთლის შუქზე, რომანტიკულ გარემოში შევხვდით ბედის ანაბარად მიტოვებული ოჯახები.

ცხადია, შუქის გამორთვისთანავე მოვისაკლისე მამაპაპისეული ჭრაქი, მაგრამ რა ხეირი, დღევანდელ საქართველოში ნავთი ისეთივე დეფიციტურია, როგორც მევახშე კაჯა ბულავას ოჯახში იყო რევოლუციის წინა პერიოდში!

შედარებისთვის, შეგვიძლია, გავიხსენოთ რეზო ჩხეიძის ფილმი „რაიკომის მდივანი“, რომელშიც იდენტური სიტუაციაა აღბეჭდილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გიორგი თორელი ქვეყანას შეძრავს, ყველა სამსახურს ფეხზე დააყენებს, საქმეში სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობასაც ჩართავს და წინა ღამით ავარიულად გამორთული ელექტროენერგიის მიწოდებას ახალი წლის დადგომამდე უზრუნველყოფს.

მსგავს შემთხვევებში ლოგიკურად ჩნდება ეჭვი, ხომ არ ჰქონდა დივერსიას ადგილი, რაც საკმაოდ გახშირებულია თანამედროვე მსოფლიოში, მაგრამ იშვიათობაა საქართველოში. რამდენადაც ჩემი ქვეცნობიერი პოზიტიურ განწყობაზე იყო ფოკუსირებული წინასაახალწლო პერიოდში, ეს იძულებითი დისკომფორტი შობადობის სტიმულირებად მივიჩნიე და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას დავუკავშირე ჩვენი შორეული წინაპრების გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებიც უშუქობის ეპოქაში გაცილებით მეტ დროს ატარებდნენ საძინებელში.

მართალია, სამი თვის დაგვიანებით, მაგრამ ამ ბნელით მოცულ თემას, მაინც მოეფინა ნათელი, როცა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ (სემეკი) 30 მარტს მიიღო გადაწყვეტილება დენის ტარიფის 5 თეთრით გაძვირებასთან დაკავშირებით. დავით ნარმანიას განცხადებით, რომელსაც ვერაფრით დავარქმევდი დასაბუთებულს, ასეთი ცვლილება განპირობებული ყოფილა ელექტროენერგიის გაზრდილი მოხმარებით, იმპორტზე დამოკიდებულებითა და ქსელის გაუმჯობესებისთვის საჭირო ინვესტირების აუცილებლობით. ქსელის ინვესტირებას თავი რომ დავანებოთ, რომელიც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არსებულ ტარიფში უნდა იყოს გაწერილი, დაზუსტებას საჭიროებს პირველი ორი კომპონენტი – ელექტროენერგიის გაზრდილი მოხმარება და იმპორტდამოკიდებულება.

**იმერეთის ყოფილი გუბერნატორის თემურ შაშიაშვილის ინფორმაციით, 1989 და 1990 წლებში მხოლოდ ქუთაისი მოიხმარდა 300 მეგავატ ელექტროენერგიას, რაც დღევანდელ პიროვებში 45 მეგავატამდე ყოფილა ჩამოსული და სად არის აქ ლოგიკა, პატივცემულო ბატონებო?!**

ასევე საინტერესოა, რატომ გავხდით იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა, როცა გასულ წლებში თვითონვე გაგვქონდა საექსპორტოდ ჭარბი ელექტროენერგია, სეზონურად მაინც?!

დასაშვებად მიმაჩნია, რომ წყალსაცავები შლამითა და ინერტული მასალით იყოს დალექილი, მაგრამ რატომ გადადის მათი გაწმენდა-მოწესრიგების პასუხისმგებლობა მომხმარებელზე, როცა მფლობელი კომპანიები კოლოსალურ მოგებაზე არიან ორიენტირებული?!

იმის გათვალისწინებით, რომ ამ სფეროში ექსპერტად ვერ გამოვდგები, შეძლებისდაგვარად ვცდილობ, დავეყრდნო იმ სპეციალისტების მონაცემებს, რომლებსაც სათანადო კომპეტენცია გააჩნიათ. გამოცდილი ენერგეტიკოსის თემურ ჭიჭინაძის აზრით, საქართველოში მოქმედ კომპანიებს ელექტროენერგიის გაძვირების არავითარი საჭიროება არ ჰქონდათ, რადგან ისედაც შეეძლოთ მოსახლეობისთვის დენის მიწოდება ჩვეულებრივ რეჟიმში გაეგრძელებინათ. მისივე თქმით, „ენერგო პრო ჯორჯიას“ თავიდანვე გარემონტებული ჰესები გადაეცათ და ისეთი საბაზისო ტარიფები დაუწესეს, რომელიც არ ეკუთვნოდათ.

**თუ როგორი აგდებული დამოკიდებულება ჰქონდა მომხმარებლის მიმართ ამ საეჭვო რეპუტაციის მქონე კომპანიას, შეგვიძლია, გავიხსენოთ წარსულის მაგალითი, როცა დენის გამანაწილებელ ქვესადგურებში დამონტაჟებული საერთო მრიცხველის ჩვენების შესაბამისად აიძულებდნენ, მოსახლეობას საკუთარი ძალებით აეკრიფათ გადასახადი და მზამზარეულად მიეტანათ ადგილობრივ სერვისცენტრებში, წინააღმდეგ შემთხვევაში დენის გათიშვით აშანტაჟებდნენ და არცთუ იშვიათად, სისრულეში მოჰყავდათ დანაპირები.**

თუ ხართ წყლისა და ელექტროენერგიის მომხმარებელი და მიგაჩნიათ, რომ ირღვევა თქვენი უფლებები, მიმართეთ მარეგულირებელ კომისიასო, მოგვიწოდებენ ტელეეკრანიდან, რაც მოსახლეობაზე ზრუნვის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ როგორ უნდა მოგმართოთ, როცა თვითონვე ხართ ტარიფის გაძვირების ხელშემწყობი?

**ელექტრომომარაგების სისტემაში მდგომარეობა კრიტიკულ ნიშნულამდეა მისული და თუ დროზე არ მივიღეთ ეფექტური ზომები, კოლაფსი გარდაუვალიაო, რომ აცხადებენ ამ სფეროს მესვეურები, გულწრფელად მაინტერესებს, ვისი დაუდევრობით მივიდა მდგომარეობა იქამდე, რომ საგანგებო ზომების მიღება გახდა აუცილებელი!**

თუ გადაჭარბებულ ცნობისმოყვარეობად არ ჩამეთვლება, ისიც მაინტერესებს, რატომ არ განიხილება ინტენსიურად დაკონსერვებული „ხუდონჰესის“ მშენებლობის განახლების საკითხი სამთავრობო დონეზე, ან რატომ არის მიყურისძირებული ნამახვანჰესის თემა, რომელიც ავანტიურისტი პოპულისტების მიერ აგორებული პროტესტის გამო იქნა შეჩერებული, რის სანაცვლოდაც, კონტაქტორ კომპანიას ათეულობით მილიონი დოლარის კომპენსაციას ვუხდით პირგასამტეხლოს სახით!

სიტყვა პოპულისტი აქ შემთხვევით არ მიხსენებია, რადგან სწორედ ამ კატეგორიის მედროვეებს უნდა ეკისრებოდეს თუნდაც მორალური პასუხისმგებლობა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ბოიკოტირებასთან დაკავშირებით, რისთვისაც 40 მილიონი მანეთი იყო გამოყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ!

**ხუდონჰესის მშენებლობას თუ არ დავუშვებთ, საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ჩამოიშლება და ქართველებს ხელ-ფეხი გაგვეხსნებაო, „ბოლეგდენე“ გულუბრყვილო ადამიანებს მწვანეთა მოძრაობის აქტივისტები, რაც პოლიტიკური მიამიტობის გამოვლინება იყო. სხვათაშორის, „მწვანეების“ გამოცდილება გაიზიარა ახალგედა პოლიტიკოსის ზვიად ძიძიგურის დაჯგუფებამ, რომელიც მიიჩნევდა, რომ მისი მშობლიური სამტრედიის სარკინიგზო კვანძის პარალიზება საბჭოთა კავშირის დაშლას დააჩქარებდა და საქართველოს ნანატრ თავისუფლებას მოუტანდა, რაც მიამიტობასთან ერთად, პოლიტიკური უვიცობის კლასიკური მაგალითი იყო!**

სიყალბე, სიცრუე და ორპირობა რომ დასაშვებია ქართულ პოლიტიკაში და ნებისმიერი რანგის პოლიტიკოსები ურცხვად იტყუებიან, ყველა ჭკუათმყოფელმა იცის, მაგრამ ვერაფერი გაგვიწყვია. ეს სიტუაცია ხატოვნად არის განმარტებული ლავროვის ფუნდამენტურ ნაშრომში „კარმის დიაგნოსტიკა“: „არსებობს ცხვრის ფარა და არსებობს მგლების ხროვა, პოლიტიკოსი კი იქ არის, ვინც კეთილდღეობას უნდა დაპირდეს როგორც ერთს, ისე ორივე დაარწმუნოს, რომ ყველაფერს გააკეთებს მათი ინტერესების დასაცავად. პოლიტიკოსისათვის ყველაზე სწორი საქციელია, ერთიც მოატყუოს და მეორეც – პოლიტიკა ხომ ჩვენი შინაგანი მსოფლმხედველობაა“.

**„რადგან თავია სიცრუე ყოვლისა**
**უბედობისა,**
**მე რად გავწირო მოყვარე,**
**ძმა უმტკიცესი ძმობისა?!“**

როგორც ჩანს, ასეთი მორალური სისპეტაკე შუა საუკუნეებში იყო მიღებული, როცა სიცრუე და ორპირობა ღირსების შემლახავ მოქმედებად მიიჩნეოდა საქართველოში.

რაც უნდა უსიამოვნო იყოს ამის აღიარება, ყოველგვარი მიეთ-მოეთის გარეშე უნდა ითქვას, რომ ქართველ პოლიტიკოსებს ფრიადზე აქვთ ის გამოცდა ჩაბარებული, ჩვენი ანუ ამომრჩევლის ბედოვლათობის წყალობით და ყოველი არჩევნების შემდგომ პერიოდებში ახალ-ახალი სიურპრიზებით რომ გვანებივრებენ! აბა, წარმოვიდგინოთ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლებას გაკვრით მაინც რომ ეთქვა, ენერგომომარაგების სისტემა სავალალო დღეშია და ტარიფის გაზრდას არ გამოვრიცხავთო, გაცილებით მეტი ამომრჩეველი გამოუცხადებდა ნდობას ოპოზიციურ პარტიებს, რომელთა ლიდერებს მიმზიდველი დაპირებები ჰქონდათ საარჩევნო პროგრამებში გაწერილი.

მარტო დენის საფასურის გაზრდაზე რომ იყოს საუბარი, კიდევ მოითმენდა კაცი, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა საწვავთან დაკავშირებით. გაზაფხული ძალაშია შესული, ხვნა-თესვის სამუშაოები კარზეა მომდგარი და დიზელის საწვავის ღირებულება ოთხ ლარს არის გადაცილებული. თითქმის სამი ათეული წელია, ჩვეულებრივი გლეხის ცხოვრებით ვცხოვრობ, მიწას ვარ შეჭიდებული, ამიტომ თვითმხილველის პოზიციიდან შემიძლია განვაცხადო, რომ სასოფლო-სამეურნეო სექტორში სიტუაცია გაცილებით კატასტროფულია, ვიდრე ამ სფეროს ზოგიერთ მაღალჩინოსანს წარმოუდგენია.

**საწვავის ღირებულებას თავი რომ დავანებოთ და დროებით დავივიწყოთ, ჩემი მშობლიური სოფლის შემოგარენში ტრაქტორი ისეთივე იშვიათი სანახავია, როგორც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი – საჯარო სივრცეში, ამიტომ რა წყალს მივცეთ თავი, ჯერაც ვერ გაგვირკვევია.**

პუბლიცისტური საქმიანობიდან გამომდინარე, გარკვეული ვარ მსოფლიოში არსებულ ვითარებაში, კარგად მესმის მდგომარეობის სირთულე ახლო აღმოსავლეთში და სპარსეთის ყურეში, მაგრამ შორეულ პროვინციაში მცხოვრები გლეხისთვის ვერაფერი შეღავათია გეოპოლიტიკური წიაღსვლები, რომელსაც ისიც კი არ აინტერესებს, რომელ აკვატორიაში მდებარეობს ჰორმუზის სრუტე, უდიდეს თავსატეხად რომ იქცა მთელი მსოფლიოსთვის!

მართალია, ყველა შედარება პირობითია, მაგრამ სოფლად მცხოვრები პენსიონერები დავით გურამიშვილის მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომელსაც ციურ მანანასავით მხსნელად მოვლენილი კიტრი უბიდან გაუცვივდა, წყალმა წაართვა და ყოვლადმოწყალე უფლის საყვედურიც კი ათქმევინა:

**„ღვთისაგან გულსა შემაკლდა,**
**ვაყვედრე, ასე ვიტირე,**
**თუ მომეც, რაღათ წამართვი,**
**აწ ასე რად გავიწირე?!“**

არც ისეთი გულუბრყვილო გახლავართ, ვიფიქრო, რომ ჩემ რჩევას ვინმე ყურად იღებს, მაგრამ საქმეს უთუოდ წაადგებოდა, თუკი აგრარული სექტორის კურატორები აბაშის რაიკომის პირველი მდივნის გურამ მგელაძის მსგავსად, რეზინის ჩექმებს თუ ჩაიცვამენ და ჯერ კიდევ შემორჩენილ იმ შრომისმოყვარე გლეხებს გაესაუბრებიან, მშობლიურ მიწაზე მყარად რომ უდგათ ფეხი.

მისასალმებელია, რომ მსოფლიოში არსებული ურთულესი მდგომარეობისა თუ მტრულად განწყობილი ოპოზიციის თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, სტაბილურობა გვაქვს ქვეყანაში შენარჩუნებული და, როგორც გვეუბნებიან, ხელშესახებ წარმატებებსაც მივაღწიეთ ეკონომიკაში. ამასთან დაკავშირებით სასიამოვნო მოსასმენი იყო სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იურაი ბლანერის შეფასება, რომელმაც სამაგალითოდ მიიჩნია ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა: საქართველოს აქვს 7 პროცენტი ეკონომიკური ზრდა. რას არ მივცემდით, რომ ჩვენც ასეთი ზრდა გვქონდესო!

**ასეთი აღმატებული შეფასების ფონზე ცოტა უხერხული კია, მაგრამ მაქვს განცდა, რომ ქართული სახელმწიფო ჯერაც ვერ განთავისუფლებულა კახა ბენდუქიძის ეკონომიკური პრაქტიკისა და ლეგენდარული ლუდვიგ ერჰარდის ეპიგონის, რომან გოცირიძის ეკონომიკური თეორიისგან, არადა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ეკონომიკის მინისტრს განათლება დასავლეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტში აქვთ მიღებული!!!**

გაქრა ფერადი ოცნება, რასაც ველოდი, სად არის? – კითხულობდა აკაკი წერეთელი, რომელსაც სუვერენულ და ეკონომიკურად წელგამართულ საქართველოში ცხოვრება ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

ყველაფრის მიუხედავად ადამიანებს ოპტიმიზმი გვახასიათებს, ამიტომ მინდა, მჯეროდეს, რომ „ქართული ოცნება“ კიდევ უფრო არ დაამძიმებს იმ მოქალაქეების მდგომარეობას, რომლებსაც ისედაც არ ულხინთ არსებულ პირობებში და შეძლებისდაგვარად დაეხმარება ყოფითი პირობების გაუმჯობესებაში!

შესაძლოა, ვინმეს ანაქრონიზმად მოეჩვენოს, მაგრამ, ობიექტურობა მოითხოვს, ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში დოტაციური იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტები, როგორიცაა: პური, თევზი, შაქარი და რძე...

**იფიქრეთ ამაზე, ბატონო ხელისუფალნო, თუკი 2028 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ოპოზიციაში გადასვლა არ გაქვთ განზრახული.**



**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**წყალტუბო, ჩუნეში.**

# ბრბოს ტაში და ეშაფოტის გრუხუნი



## სანახაობის მარადიული წყურვილი და ძალაუფლების ცვალებადი ბედი

**„ყოველთვის გახსოვდეს, რომ ბრბო, რომელიც ტაშს უკრავდა შენს მეფედ კურთხევას, ასევე დაუკრავს ტაშს შენთვის თავის მოკვეთას. ხალხს უყვარს სანახაობა...“ – ტერი პრატჩეტის**



ეს მწარე, თუმცა საოცრად მართალი სიტყვები, გვაიძულებს, დავფიქრდეთ ძალაუფლების, პოპულარობისა და ადამიანთა კოლექტიური ბუნების რთულ და სახიფათო ურთიერთკავშირზე. პრატჩეტი ფენტეზის სამყაროს პერსონაჟის ბაგეებით გადმოგვცემს იმ მარადიულ ჭეშმარიტებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწუხებდა ფილოსოფოსებს, მმართველებსა და ისტორიკოსებს: საზოგადოებრივი აღიარება ცვალებადია, ხოლო ბრბოს სიყვარული და სიძულვილი ხშირად ერთი და იმავე სანახაობის წყურვილით საზრდოობს.

ისტორიულად, მრავალი მოაზროვნე ცდილობდა გაეშიფრა მასების ქცევის ლოგიკა. რენესანსის ეპოქის ცნობილი პოლიტიკური ფილოსოფოსი **ნიკოლო მაკიაველი** თავის ტრაქტატში **„მთავარი“**, პრაგმატული სიმკაცრით აღწერს ადამიანურ ბუნებას, რომელსაც საოცრად ეხმიანება პრატჩეტი. მაკიაველის აზრით,



**„ზოგადად ადამიანებზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი უმადურები, ცვალებადები, პირფერები და მატყუარები არიან. გაურბიან საფრთხეს და ხარბები არიან სარგებლის მიმართ... სანამ მათთვის სარგებელი მოგაქვს, შენი ერთგულები არიან... მაგრამ როცა საჭიროება დადგება, ზურგს შეგაქცევენ.“**

მაკიაველი მმართველს აფრთხილებს, რომ ხალხის სიყვარული არასაიმედო საყრდენია ძალაუფლებისთვის, განსხვავებით შიშისგან, რომელიც უფრო მყარი კონტროლის მექანიზმია. უფრო ადრე, პლატონი **„სახელმწიფოში“** აკრიტიკებდა დემოკრატიას სწორედ იმის გამო, რომ მასები ადვილად ექცევიან დემაგოგების გავლენის ქვეშ და რაციონალურ განსჯას ემოციურ იმპულსებს ამჯობინებენ. მოგვიანებით, გუსტავ ლე ბონი თავის ნაშრომში „ბრბოს ფსიქოლოგია“ დეტალურად აღწერს, თუ როგორ კარგავს ინდივიდი კრიტიკულ აზროვნებასა და პიროვნულ პასუხისმგებლობას მასაში ჩაკარგვისას. ეს მოაზროვნეები, სხვადასხვა ეპოქასა და კონტექსტში, ერთსა და იმავე პრობლემას ეხებიან □კოლექტიური ქცევის ირაციონალურობასა და ცვალებადობას.

რა ფსიქოლოგიური მექანიზმები განაპირობებს ბრბოს ასეთ ქცევას? უპირველეს ყოვლისა, ეს არის ემოციური გადადება □ემოციები, განსაკუთრებით ძლიერი სიხარული, რისხვა, შიში, სწრაფად ვრცელდება ჯგუფში და ინდივიდები ერთმანეთის განწყობას იზიარებენ კრიტიკული ფილტრის გარეშე. მეორე ფაქტორია დეინდივიდუალიზაცია, როდესაც ადამიანი ბრბოს ნაწილი ხდება, ის კარგავს საკუთარი **„მე“**-ს შეგრძნებას და, შესაბამისად, პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე. ანონიმურობის განცდა აადვილებს ისეთი ქმედებების ჩადენას, რასაც ინდივიდუალურად არ გააკეთებდა. ასევე მნიშვნელოვანია კონფორმიზმის ფენომენი, ჯგუფის წნეხი და სურვილი, იყო მიღებული, აიძულებს ინდივიდს, დაეთანხმოს უმრავლესობის აზრს, თუნდაც შინაგანად არ იზიარებდეს მას. ბრბო ხშირად რეაგირებს გამარტივებულ ლოზუნგებსა და ძლიერ სიმბოლოებზე, რაც მას ადვილად სამართავს ხდის დემაგოგებისთვის.

პრატჩეტის ფრაზა **„ხალხს უყვარს სანახაობა“** ამ ფენომენის ბირთვს ეხება. სანახაობა, იქნება ეს მეფედ კურთხევა თუ თავის მოკვეთა, გლადიატორების ბრძოლა, პოლიტიკური მიტინგი თუ რეალითი შოუ, მძლავრი სოციალური და ფსიქოლოგიური ფუნქციის მატარებელია. ის უზრუნველყოფს გართობასა და რეალობიდან გაქცევას, ქმნის სოციალური ერთობის ილუზიას საერთო ემოციური გამოცდილების გარშემო და ხშირად ემსახურება კათარზისს, დაგროვილი ემოციების, სიხარულის, ბრაზის, აგრესიის გამოთავისუფლებას კოლექტიური ფორმით. ისტორიულად, სანახაობები, სამეფო ცერემონიები, სამხედრო აღლუმები, საჯარო დასჯები, ძალაუფლების დემონსტრირებისა და ლეგიტიმაციის ინსტრუმენტიც იყო. თანამედროვე ეპოქაში სანახაობის ფორმები შეიცვალა, მედია, სპორტი, სოციალური ქსელები, მაგრამ მისი არსი და გავლენა ადამიანთა ცნობიერებაზე უცვლელი რჩება.

ამ ფსიქოლოგიური მექანიზმებისა და სანახაობის წყურვილის პოლიტიკური და სოციალური შედეგები ხშირად დრამატულია. ლიდერები, რომლებიც თავიანთ ძალაუფლებას ბრბოს ემოციებსა და ტაშზე აფუძნებენ, მუდმივად ამ სანახაობის შექმნასა და შენარჩუნებაზე არიან დამოკიდებულნი. ეს ქმნის პოლიტიკურ არასტაბილურობას, რადგან ისევე სწრაფად, როგორც ბრბო აღაზევებს კერპს, შეუძლია მისი დამხობაც, როდესაც სანახაობა მოსაწყენი გახდება ან ლიდერი ვეღარ დააკმაყოფილებს მუდმივად ცვალებად მოლოდინებს. თავად ლიდერისთვის ეს სახიფათო თამაშია, ის მუდმივად ბეწვის ხიდზე გადის, ცდილობს, შეინარჩუნოს პოპულარობა და ამავდროულად, ეშინია იმავე ბრბოს რისხვის. საზოგადოებისთვის კი ამგვარი დინამიკა სავსეა საფრთხეებით: კრიტიკული აზროვნების ეროზია, მანიპულაციისადმი მოწყვლადობა და კოლექტიური უსამართლობის შესაძლებლობა, როგორც პრატჩეტის მიერ ნახსენები ტაში ეშაფოტთან.

პრატჩეტისა და მაკიაველის დაკვირვებები ბრბოს ბუნებაზე მწარე, მაგრამ ფასდაუდებელ გაკვეთილს გვაძლევს. ადამიანთა კოლექტიური ქცევა, ემოციებითა და სანახაობის წყურვილით ნაკვები, მძლავრი, მაგრამ არასაიმედო და სახიფათო ძალაა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრი დემოკრატიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია, მხოლოდ პოპულარობასა და ცვალებად განწყობებზე დაფუძნებული ძალაუფლება და სოციალური წესრიგი მყიფეა. ამიტომ, როგორც ლიდერებისთვის, ისე რიგითი მოქალაქეებისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნების უნარი, დავინახოთ სანახაობის მიღმა არსებული რეალობა, გავაანალიზოთ ინფორმაცია და წინააღმდეგობა გავუწიოთ ბრბოს ინსტინქტებს.

**პრინციპული ლიდერობა, რომელიც ღირებულებებს ეფუძნება და არა მხოლოდ რეიტინგებს, და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რომელიც გვიცავს მასობრივ ფსიქოზში ჩათრევისგან, აუცილებელი პირობაა უფრო სამართლიანი, სტაბილური და რაციონალური საზოგადოების შენებისთვის. ბრბოს ტაში შეიძლება მაცდური იყოს, მაგრამ მისი ცვალებადი ბუნების გაცნობიერება პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ ეს ტაში საბოლოოდ ეშაფოტის გრუხუნში არ გადაიზარდოს.**



**ირაკლი ქიფიანი**

# ბზარები ოპოზიციურ ერთობაში

(მესამე გვერდიდან)

**□ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე გადაჯგუფებები სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი თავის გადარჩენის იმიტაცია. ეს პროცესი უკვე ათწლეულზე მეტია, ერთგვარ □მანკიერ წრეზე□ ტრიალებს. უკანასკნელ 14 წელიწადში ვერ დავითვალეთ, რამდენჯერ დაიშალნენ და გაერთიანდნენ. ისინი მხოლოდ საკუთარი თავების გაცოცხლების იმიტაციას ქმნიან, მეტი აქ არაფერია. მათ ერთმანეთი სძულთ, ერთმანეთის შურთ, ასე კი ალიანსი ერთიანობის შენარჩუნებას როგორ შეძლებს? ისინი არავითარ რეალურ ძალას არ წარმოადგენენ, საქართველო სძულთ, ამას ამტკიცებს მათ მიერ გაკეთებული განცხადებები□** — განაცხადა **გვენეტაძემ.**

გვენეტაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ისტორიულ განცხადებებზე, რომლებიც, მისი შეფასებით, პირდაპირ აზიანებდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოებას. იგი იხსენებს კონკრეტულ მაგალითებს, რომლებიც პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ქვეყნის □გაშავების□მცდელობად მიაჩნია:



**□მაგალითად, გივია თარგამაძის ნათქვამი, თითქოს, საქართველოში ტერორისტთა უნივერსიტეტებია, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო დაბომბეთო. ასევე, სამწუხაროდ, ჩვენი გენშტაბის ყოფილი უფროსი, ვინმე ვახტანგ კაპანაძე ამბობდა, რომ საქართველოში ყველაზე მეტად დაუცველი ადგილები გაქო-თბილისი-ჯეიჰანის მონაკვეთიაო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბორჯომის ხეობისთვის დაერტყათ□** — ამბობს **გვენეტაძე.**

ანალიტიკოსის მტკიცებით, ასეთი რიტორიკა არ არის მხოლოდ პოლიტიკური შეცდომა – ეს არის შეგნებული ქმედება, რომელიც ქვეყანას საფრთხის ქვეშ აყენებს. მისი თქმით, პოლიტიკოსები, რომლებიც მზად არიან, საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოების რისკებზე ასე ღიად და დაუფიქრებლად ისაუბრონ, ვერასდროს იქნებიან ხალხის ინტერესების დამცველები. ედიშერ გვენეტაძე მიიჩნევს, რომ ეს ჯგუფები ამოწურული რესურსის მქონე ძალას წარმოადგენენ, რომელთაც ქართულ პოლიტიკაში ადგილი აღარ აქვთ. მათი ერთადერთი მიზანი ძალაუფლების ხელში ჩაგდებაა, თუმცა შიდა დაპირისპირება მათ ამის საშუალებას არ აძლევს:

**□ესაა მათი სახე და ასეთები ვერავითარ შემთხვევაში ქართველი ხალხის ნების გამომხატველები ვერ იქნებიან. უმჯობესია, პოლიტიკურ არენას მოსცილდნენ!..**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# საქართველო — პურის, ხორბლისა და ღვინის უძველესი კერა



## 8000-წლიანი ისტორია — ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალ PNAS-ში ავტორიტეტული კვლევა

**საქართველო ნეოლითის პერიოდის პურის ხორბლის წარმოშობის დამოუკიდებელ ცენტრად მიიჩნევა. შესაბამის სტატიას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული, აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი (PNAS) კვლევაზე დაყრდნობით აქვეყნებს.**

**საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი 8000 წლის არქეოლოგიური მასალის ახლად ჩატარებული მულტიდისციპლინური კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ საქართველო ხორბლის – Triticum aestivum – წარმოშობის დამოუკიდებელი და დღეისათვის დოკუმენტურად დადასტურებული უძველესი კერაა.**

მეცნიერებმა დადასტურეს, რომ უძველესი ხორბლის ნაშთები აღმოჩნდა ორ კონკრეტულ არქეოლოგიურ ადგილას: **გადაჭრილი გორა; შულავერის გორა.**

**გადაჭრილი გორას** და **შულავერის გორას** არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა 1970-იან წლებში, მკვლევრების – ალექსანდრე ჯავახიშვილისა და თამაზ კიღურაძის – ხელმძღვანელობით დაიწყო. კვლევები 2006 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგების მიერ განახლდა.

**ძეგლებზე გამოვლენილია: ალიზის ნაგებობები; მდიდარი კერამიკული მასალა; ძვლოვანი არტეფაქტები.**

აღნიშნული მასალა მიუთითებს, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა განვითარებულ მიწათმოქმედებას ეწეოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იმავე ნამოსახლარებში დადასტურებულია უძველესი მეღვინეობის კვალი.

ეს აღმოჩენა 2017 წელს ასევე გამოქვეყნდა Proceedings of the National Academy of Sciences-ში და მან ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამგვარად, არსებული მონაცემების საფუძველზე, საქართველო მსოფლიოში პურისა და ღვინის კულტურის უძველესა კერაა.

**ახალი აღმოჩენა ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან მიწათმოქმედების განვითარების ცენტრს წარმოადგენდა და დღეისთვის ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც 8 000 წლის წინანდელი პურის და ღვინის კვალი დოკუმენტურად დადასტურდა.**

**დღემდე ითვლებოდა, რომ მნიშვნელოვანი მარცვლეული კულტურების პირველი კულტივაცია/დომესტიკაცია ახლო აღმოსავლეთში, „ნაყოფიერი ნახევარმთვარის□სახელით ცნობილ ტერიტორიაზე (თანამედროვე ირანი, ერაყი, თურქეთი, სირია, პალესტინა) უნდა მომხდარიყო.**

კვლევები აჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასია ამ არეალის გაგრძელებას წარმოადგენს და სავარაუდოდ, საკვები მცენარეების სახეობების წარმოქმნის ასევე უძველესი ცენტრია.

**ცნობისთვის, საერთაშორისო მულტიდისციპლინურ კვლევას საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. სტატიაში წარმოდგენილი დასკვნები დიდწილად ეფუძნება საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეოეთნობოტანიკოსის, პროფესორ ნანა რუსიშვილის მრავალწლოვან კვლევებს, რომელიც უკვე ხუთ ათწლეულზე მეტია, პალეობოტანიკურ მასალებს სწავლობს.**

კვლევის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია ღვინის ეროვნული სააგენტოს პროექტის – □**ღვინისა და ვაზის კვლევა და პოპულარიზაცია**□– ფარგლებში, ასევე, საქართველოს კულტურის სამინისტროს, ტორონტოს უნივერსიტეტის, ვაისმანის ინსტიტუტისა და საზოგადოება □**ტვერიას**□მიერ.

ახალი კვლევა ჟურნალმა მიმდინარე ნომრის ერთ-ერთ გამორჩეულ მასალად შეაფასა და ძირითად სტატიას დაურთო ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიის სექციის ხელმძღვანელის, პროფესორ მელინდა ზედერის კომენტარი – □**პური და ღვინო, კულინარიული შეხამების ისტორია.**□

**საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი 8000 წლის არქეოლოგიური მასალის ახლად ჩატარებული მულტიდისციპლინური კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ საქართველო ხორბლის – TRITICUM AESTIVUM – წარმოშობის დამოუკიდებელი და დღეისათვის დოკუმენტურად დადასტურებული უძველესი კერაა.**

მეცნიერებმა დადასტურეს, რომ უძველესი ხორბლის ნაშთები აღმოჩნდა ორ კონკრეტულ არქეოლოგიურ ადგილას: გადაჭრილი გორა; შულავერის გორა. გადაჭრილი გორისა და შულავერის გორის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა 1970-იან წლებში, მკვლევრების – **ალექსანდრე ჯავახიშვილისა** და **თამაზ კიღურაძის** – ხელმძღვანელობით დაიწყო. კვლევები 2006 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგების მიერ განახლდა.

**ძეგლებზე გამოვლენილია: ალიზის ნაგებობები მდიდარი კერამიკული მასალა ძვლოვანი არტეფაქტები აღნიშნული მასალა მიუთითებს, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა განვითარებულ მიწათმოქმედებას ეწეოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იმავე ნამოსახლარებში დადასტურებულია უძველესი მეღვინეობის კვალი.**

აღნიშნული აღმოჩენა 2017 წელს ასევე გამოქვეყნდა Proceedings of the National Academy of Sciences-ში და ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამგვარად, არსებული მონაცემების საფუძველზე, საქართველო მსოფლიოში პურისა და ღვინის კულტურის უძველეს კერად მიიჩნევა. ახალი აღმოჩენა ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან წარმოადგენდა მიწათმოქმედების განვითარების ცენტრს და დღეისთვის ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც დოკუმენტურად დადასტურდა 8 000 წლის წინანდელი პურის და ღვინის კვალი.

**აღსანიშნავია, რომ პურის ხორბალი (Triticum aestivum) დღეს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ხორბლის სახეობაა და საერთო მოხმარების დაახლოებით 95%-ს შეადგენს. UNESCO-მ □ქართული ხორბლის კულტურა□არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა.**

# მსოფლიოში ხორბლის ფასი იცვლება, ჩვენს ქვეყანაში — ელექტროენერგიის,რა ელის პურპროდუქტების მრეწველობას?

**საქართველოში დენი გაძვირდა, მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი მატულობს. მოჰყვება თუ არა ამას ქვეყანაში პურპროდუქტების გაძვირება? ჯერჯერობით, მწარმოებლები იმედიანად არიან განწყობილნი, მით უმეტეს, რომ მალე ადგილობრივი მოსავლის აღება და დაბინავება დაიწყება.**

2026 წლის იანვარ-მარტში, საქართველოს ფქვილისა და ხორბლის იმპორტი გაუძვირდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მოცემულ საანგარიშო პერიოდში, ქვეყანაში 2.023 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 4 246 ტონა ფქვილის იმპორტი განხორციელდა, 2025 წლის იანვარ-მარტში კი 2.838 მლნ აშშ დოლარის 9 247 ტონა ფქვილი ვიყიდეთ.

თუ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ მიმდინარე წელს, ფქვილის საიმპორტო ფასი (გადასახადების გარეშე) 1 კილოგრამზე 48 ცენტს შეადგენდა, გასული წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდში კი 31 ცენტი იყო, რაც წლიურად 54.8%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

პირველ კვარტალში, დაახლოებით, 3%-ითაა გაძვირებული ხორბლის საიმპორტო ფასიც. □საქსტატის□მონაცემებით, მოცემულ საანგარიშო პერიოდში, ქვეყანაში 21.410 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 84 499 ტონა ხორბლის იმპორტი განხორციელდა, 2025 წლის იანვარ-მარტში კი 15.539 მლნ აშშ დოლარის 63 327 ტონა ხორბალი ვიყიდეთ. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოდის, რომ მიმდინარე წელს, ხორბლის საიმპორტო ფასი (გადასახადების გარეშე) 1 კილოგრამზე 25 ცენტს შეადგენდა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი 24.5 ცენტი იყო, რაც წლიურად, დაახლოებით, 3%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

ხორბლის ფიუჩერსულმა ფასმა 1 ბუშელზე დაახლოებით 6 დოლარს მიაღწია, რაც 31 მარტს დაფიქსირებული ცხრათვიანი პიკის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ბაზარზე შეშფოთება რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია. მათ შორის, ირანის კონფლიქტის გამო სასუქების მიწოდების შეფერხებამ და გვალვების პროგნოზმა.

რაც შეეხება ქართულ ბაზარს, როგორც □ბარაქას□დირექტორმა **ლადო ბიძინაშვილმა** განმარტა, საერთაშორისო ბირჟებზე არსებული ვითარება რეგიონზეც აისახება, თუმცა არა დიდი მასშტაბით. ბოლო მონაცემებით, ერთი ტონა ხორბლის ფასი 10-15 დოლარით არის გაზრდილი და 260 დოლარი ღირს. ამ ფონზე, მოლოდინია, რომ აპრილის ბოლოდან ქვეყანაში, შესაძლოა, ფქვილის ფასები დაკორექტირდეს. ამ ეტაპზე კი ერთი ტომარა ფქვილის ღირებულება 52-53 ლარია.

□**არ ვფიქრობთ, ხორბლის ფასი ისეთ ნიშნულამდე გაიზარდოს, რომ ქართულ ბაზარზე ფქვილის მნიშვნელოვანი გაძვირება გამოიწვიოს. იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონში ვითარება გართულებულია, ენერგომატარებლები, საწვავი გაძვირებულია, ვფიქრობთ, აპრილის ბოლოსთვის ერთი ტომარა ფქვილის ღირებულება 1 ან 2 ლარით გაძვირდება**□ – აღნიშნა □ბიზნესპარტნიორთან□**ლადო ბიძინაშვილმა.**

თუმცა, პურპროდუქტების მწარმოებელთა პრობლემა მხოლოდ მარცვლეულის ფასის ცვლილება არ არის. მნიშვნელოვანი იყო ელექტროენერგიის ტარიფის ცვლილება, რომელიც 2 აპრილიდან, ბიზნეს სექტორისთვის 4-6 თეთრის ფარგლებში გაიზარდა. რამდენიმე დღის წინ, პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე **მალხაზ დოლიძე** ამბობდა, რომ ელექტროენერგიაზე გაზრდილი ტარიფი პურის ფასზე არ აისახებოდა, თუმცა მაშინ არც მსოფლიო ბაზარზე ხორბლის გაძვირების ტენდენცია შეიმჩნეოდა.

მეპურეები ჯერჯერობით იმიტომ არიან დაიმედებულნი, რომ პურის ცხობაში ელექტროენერგიას შედარებით ნაკლები წილი აქვს და საცხობები უფრო მეტად ბუნებრივ აირზე არიან დამოკიდებულნი. ამ ეტაპზე, სტაბილურია ფქვილის ფასიც, მით უფრო, რომ ადგილობრივი მოსავლის აღების დროც მოახლოვდა.

□**ჩვენ ყველაზე მეტად გაზის პრობლემა გვაწუხებს ხოლმე. პურს ვაცხობთ ბუნებრივ აირზე. რაც შეეხება ელექტროენერგიას, უმნიშვნელოდ ვხარჯავთ. ამიტომ, ჩვენთვის ეს ხარჯი დიდად საყურადღებო არ არის. ელექტროდამზოგი განათებები გვაქვს და ამიტომ არ ვხარჯავთ დიდი რაოდენობით. რა თქმა უნდა, არ გვიხარია, რომ იზრდება დენის ტარიფი, მაგრამ ეს არ აისახება პურის ფასზე.**

**ჯერჯერობით ხორბლის ფასი სტაბილურია, 90 თეთრია შემოსული ხორბლის ფასი, ფქვილის ფასიც სტაბილურად არის და ამიტომ არაფრის ფასი ჯერ არ შეცვლილა. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ ველოდებით პურის ფასის ცვლილებას**□ – განაცხადა **მალხაზ დოლიძემ.**

ჯერჯერობით არ კეთდება პროგნოზი თუ რა მოსავალს მიიღებს წელს საქართველო. უამინდობას აქამდე პრობლემები არ შეუქმნია და თუ მაისიდან კლიმატური პირობებიც გამოსწორდება, ქვეყანა ნორმალურ მაჩვენებელზე გავა.

**ბექა დანელია**





# მეცნიერების სამსახურში ნაყოფიერი შრომით განვლილი გზა

## აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე – 85

**საქართველოს ქიმიკოსთა და ბიოქიმიკოსთა სამეცნიერო სკოლის გამოჩენილ და წარმატებულ მეცნიერს, ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ამერიკული საზოგადოების ნამდვილ წევრს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს საინჟინრო და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრს, აკადემიკოს გურამ ტყემალაძეს მიმდინარე წლის 25 აპრილს დაბადებიდან 85 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.**

გურამ ტყემალაძე დაიბადა 1941 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში, მათემატიკოსების ოჯახში. 1958 წელს, თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1963 წელს და მიენიჭა ქიმიკოსის კვალიფიკაცია. იმავე წელს ბატონმა გურამმა მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორატორიაში ინჟინერ-ქიმიკოსად. 1965-1968 წლებში ასპირანტურის კურსი გაიარა ქ. მოსკოვში, ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში. 1969 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1968-1975 წწებში ბატონი გურამი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, ხოლო შემდგომ უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციაზე. 1972-1975 წ.წ. პარალელურად ეწეოდა სალექტორო საქმიანობას თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის და ქიმიის ფაკულტეტებზე. 1975-1995 წ.წ. იგი იყო საქართველოს სტუდენტთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული სტუდენტთა სამეცნიერო შრომები არაერთხელ იქნა პრემირებული, როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო კონკურსებში.

1984 წელს გ. ტყემალაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მოსკოვში ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, 1985 წელს კი – პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1975-2004 წლებში ბატონი გურამი გახლდათ ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის (მოგვიანებით აკადემიის, უნივერსიტეტის) არაორგანული ქიმიის, ბიოორგანული და ბიოქიმიის კათედრის გამგე.

2005 წლიდან მუშაობა განაგრძო საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ქიმიის დეპარტამენტში სრული პროფესორის თანამდებობაზე. 2013 წელს იგი დაინიშნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 2015 წელს აკადემიკოსი გ. ტყემალძე აირჩიეს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრად, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელად. იმავდროულად იგი გახლდათ აგრარული ტექნოლოგიების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

2014 წელს ბატონი გურამი არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, ხოლო 2019 წელს – საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

აკადემიკოს გურამ ტყემალაძის სამეცნიერო საქმიანობა აერთიანებს ფუნდამენტურ ცოდნასა და პრაქტიკულ საქმიანობას, რაც მას გამორჩეულ მკვლევრად და მეცნიერების განვითარების თვალსაჩინო წარმომადგენლად წარმოაჩენს.

მისი კვლევები, რომლებიც მოიცავს ნივთიერებათა ცვლის რეგულაციისა და მიზანმიმართული მართვის ურთულეს პრობლემებს, წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენს; ნაშრომები ფერმენტების სტრუქტურასა და ფუნქციას შორის ღრმა ურთიერთკავშირის გამოვლენაში მნიშვნელოვნად ამდიდრებს ბიოქიმიურ ცოდნას და ქმნის საფუძველს ინოვაციური ბიოტექნოლოგიური მიდგომებისათვის; ფერმენტების აქტივობისა და ბიოსინთეზის რეგულაციის, აგრეთვე მათი მოქმედების კინეტიკის კვლევა ცხადყოფს მის მეცნიერულ სიზუსტესა და ანალიტიკურ ხედვას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბატონი გურამის წვლილი მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, ჰერბიციდების, მინერალური და ორგანული ნაერთების ზემოქმედების და მათი დეტოქსიკაციის გზების შესწავლაში, რაც პირდაპირ უკავშირდება სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ზრდას. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ინოვაციური მიდგომა – ღვინისა და ჩაის წარმოების ნარჩენებიდან საკვები ცილის მიღებასა და მის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვებაში გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ეკოლოგიურად და ეკონომიკურად გამართლებული გადაწყვეტაა.

ნაშრომები ჯანმრთელი და დაავადებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სისხლში სუნთქვის ფერმენტების, აგრეთვე ლაქტატისა და მალატდეჰიდროგენაზების შესწავლა საფუძველს ქმნის დაავადებებსა და ფერმენტთა აქტივობებს შორის კავშირის სიღრმისეული გააზრებისათვის, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ვეტერინარული მეცნიერების განვითარებისათვის. ყურადღებას იმსახურებს მისი კვლევები ცხოველთა რეპროდუქციული პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით, კერძოდ მიკრობული წარმოშობის ფერმენტის – ჰიალურონიდაზის გავლენის შესწავლა ხელოვნური დათესვლის პროცესში წარმოადგენს მიდგომას, რომელიც პირდაპირ ემსახურება ცხოველთა აღწარმოებითი უნარის ამაღლებას და მეცხოველეობის ეფექტიანობის ზრდას.

როგორც ვხედავთ, აკადემიკოს გ. ტყემალაძის მრავალმხრივი სამეცნიერო საქმიანობა ნათლად აერთიანებს თეორიულ სიღრმესა და გამოყენებით მნიშვნელობას, რაც მას თანამედროვე მეცნიერებაში მაღალი ავტორიტეტის მქონე და დარგის განვითარებაში არსებითი წვლილის შემტან მეცნიერად წარმოგვიდგენს.

მეტად ნაყოფიერია აკადემიკოს გ. ტყემალაძის პედაგოგიური საქმიანობაც. ათეული წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში ისეთ საგნებში, როგორიცაა: ენზიმოლოგია არაორგანული, ორგანული, ბიოორგანული ქიმია, ბიოქიმია, მცენარეთა ბიოქიმიის საფუძვლები, მცენარეთა ბიოქიმია, ბიოქიმიის საფუძვლები, სტრუქტურები და ფუნქციები ბიოქიმიურ პროცესებში, აგრარულ კულტურათა ბიოქიმია, სურსათის წარმოების ბიოქიმია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი დისერტაცია და სადიპლომო ნაშრომი.

აკადემიკოს გურამ ტყემალაძეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის პერიოდში გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 9 თეორიული და პრაქტიკული სახელმძღვანელო, სახელმძღვანელო, 3 მონოგრაფიული ხასიათის ლექსიკონი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ გამოცემული ორიგინალური, ფუნდამენტური სახელმძღვანელო „ბიოქიმიის საფუძვლები“ და ენციკლოპედიური ლექსიკონი „ბიოქიმია და მოლეკულური ბიოლოგია“. ეს უკანასკნელი, გამოირჩევა თავისი შინაარსით, სიღრმითა და მრავალმხრივობით, კარგად შერჩეული ფერადი საილუსტრაციო მასალით.

ბატონ გურამს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, ყრილობებსა და კონგრესებში (ლატვია, ესტონეთი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, უზბეკეთი, გერმანია, იუგოსლავია, კანადა, ესპანეთი, შოტლანდია, საბერძნეთი, ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია), სადაც აკადემიური საზოგადოების წინაშე მრავალგზის წარსდგა მაღალპროფესიული და შთამბეჭდავი მოხსენებებით.

გურამ ტყემალაძე მრავალმხრივ დაჯილდოებული და მრავალფეროვანი ნიჭით გამორჩეული პიროვნებაა, რომლის შემოქმედებითი დიაპაზონი სცილდება ერთ სფეროს და სხვადასხვა მიმართულებით თანაბარი სიღრმით იშლება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი შრომები ენათმეცნიერებასა და რელიგიურ-ქრისტიანულ პუბლიცისტიკაში, სადაც იგი აზრის სიზუსტეს სულიერ სიღრმესთან ჰარმონიულად აერთიანებს.

ამასთანავე, მისი შემოქმედება პოეზიის სივრცეშიც სრულად იშლება – იგი პოეტური კრებულების ავტორია, ხოლო მისი სიტყვა მუსიკაშიც ცოცხლობს, როგორც საესტრადო სიმღერების ტექსტების ავტორისა.

აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე თავისი მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის არაერთი მაღალი ჯილდოსა და აღიარების მფლობელია. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002 წ.); აგრარულ დარგში წლის საუკეთესი მეცნიერის დიპლომით (2015 წ.); ოქროს მედლით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის (2023 წ.); პროფესორ ვ. შამათავას სახელობის პრემიით სახელმძღვანელოსათვის „ბიოქიმიის საფუძვლები“ (2025 წ). ჰყავს ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და ქვეყნის აგრარიკოსმეცნიერთა სახელით გულითადად ვულოცავთ აკადემიკოს გურამ ტყემალაძეს ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს დაბადებიდან 85-ე და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან მე-60 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# დედაქალაქის ბიუჯეტი კიდევ ერთხელ გაიზარდა და ორი მილიარდ 600 მილიონს მიუახლოვდა!

**თბილისის 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობა 84 849,4 ათასი ლარით გაიზარდა და 2 591 827,7 ათასი ლარი შეადგინა. ამ გადაწყვეტილებას 27 აპრილს საკრებულოს სხდომაზე უყარეს კენჭი.**



ბიუჯეტის ზრდას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე** გამოეხმაურა და განაცხადა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი კიდევ ერთხელ გაიზარდა და ორი მილიარდ 600 მილიონს მიუახლოვდა, რაც უპრეცედენტო და ძალიან მნიშვნელოვანია. ზურაბ აბაშიძის განცხადებით, გაზრდილი ბიუჯეტის დიდი ნაწილი თბილისის გამგეობებზე გადანაწილდება, რაც კიდევ უფრო მეტი პროექტის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

**„ტენდენცია, რომ ბიუჯეტი იზრდება, არის ძალიან მნიშვნელოვანი. მით უმეტეს, რომ გაზრდილი ბიუჯეტის დიდი ნაწილი გამგეობებზე გადანაწილდება. ეს ნიშნავს იმას, რომ საკითხები, რომლებიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს, კიდევ უფრო მალე გადაიჭრება. თითოეული თეთრის მატება მნიშვნელოვანია, რადგან ეს მოსახლეობის ინტერესებს ხმარდება. ამას გარდა, გაზრდილი ბიუჯეტი სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასაც მოხმარდება, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია,**“ განაცხადა **ზურაბ აბაშიძემ.**

საქართველოს რესპუბლიკა

## სუვერენიტეტი იწყებოდა ასე...

2026 წლის 8 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა რამაზ ხუროძემ. განსახილველ საკითხად გამოტანილი იქნა აკადემიკოს ჯონი ხეცურიანის მოხსენება – „35 წელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან”.

მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია.

საქართველოს პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ლაშხმა თავის გამოსვლაში განაცხადა: „ძალიან მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის მიღება უშუალოდ მონაწილე პირისგან, მათთვის, ვისაც არ გვახსოვს საქართველოს ისტორიის ეს ნაწილი. მინდა გამოვხატო ჩემი პატივისცემა თქვენდამი და აღვნიშნო, რომ დღესაც გვიწევს ბრძოლა და ყოველდღე გავდივართ იმ ვიწრო და ეკლიან გზას, რომელიც დღესაც აქტუალურია; დღესაც გვიწევს სუვერენიტეტის დაცვა. დიდი პატივისცემით მინდა გითხრათ ერთი კარგი ინიციატივის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე კომისიაში დავიწყეთ, ეს არის „გმირის დღე”. ამ პროექტის მთავარი არსი არის ის, რომ




სასკოლო პროგრამის მიღმა ვესაუბროთ ჩვენს ახალგაზრდებს იმ ეროვნულ გმირებზე, იმ ადამიანებზე, იმ ისტორიებზე, რამაც შემოგვინახა ჩვენი ქვეყანა. მე დიდი სიამოვნებით მოგიწვევდით თქვენ ამ პროექტში სასაუბროდ. ჩვენი კომიტეტის მხრიდან სრული მხარდაჭერა და თანამშრომლობა გვექნება თქვენთან”.

დისკუსიაში აგრეთვე მონაწილეობდნენ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე მერაბ ტურავა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის დირექტორი თეონა იაშვილი, საქართველოს განათლების სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ქეთევან ქოქრაშვილი, აკადემიკოსები – ლია მელიქიშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ელგუჯა მეძმარიაშვილი, რამაზ ხეცურიანი, გიორგი სოსიაშვილი, მინდია უგრეხელიძე, მიხეილ ჯიბუტი, პროფესორი პაატა სურგულაძე და სხვ.

აქვე გთავაზობთ აკადემიკოს ჯონი ხეცურიანის გამოსვლის სრულ ტექსტს.

# 35 წელი საქართველოს დამოუკიდებლობის

**გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის კვალობაზე, განსაკუთრებით აქტუალური გახდა სსრ კავშირიდან საქართველოს გასვლისა და საბჭოთა რუსეთის აგრესიის შედეგად დაკარგული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა.**



**ჯონი ხეცურიანი**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი**

**სსრ კავშირიდან საქართველოს გასვლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნას, რომელიც საბჭოთა კონსტიტუციით მოკავშირე რესპუბლიკების უპირობო უფლებად იყო აღიარებული, საბჭოთა ხელისუფლებამ, სამართლებრივი არგუმენტების უქონლობის გამო, სამხედრო ძალა დაუპირისპირა და 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, თბილისში, განსაკუთრებული სისასტიკით დაარბია საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგი, რასაც ათეულობით ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა.**

**9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მხოლოდ მიტინგებით, მანიფესტაციებითა და არსებულ ხელისუფლებაზე ზემოქმედების სხვა ფორმების გამოყენებით შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება. საჭირო იყო ხელისუფლებაში ეროვნული, პატრიოტული ძალების მოსვლა და შემდეგ, სწორედ ხელისუფლების მეშვეობით ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტა. მშვიდობიანად ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ მრავალპარტიული, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების გზით.**

ამ დროისათვის კი არც პოლიტიკური პარტიების სამართლებრივი მდგომარეობა იყო განსაზღვრული და არც შესაბამისი საარჩევნო კანონი არსებობდა. საბჭოური საარჩევნო კანონმდებლობა კომუნისტური პარტიის მონოპოლიურ მდგომარეობაზე, უფრო სწორად, ერთპარტიულ სისტემაზე იყო მორგებული. სხვა პოლიტიკური გაერთიანებები (გარდა კომუნისტური პარტიისა) მაშინ არაფორმალურ ორგანიზაციებად იწოდებოდნენ სათანადო სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო. საჭირო იყო ამ ანტიდემოკრატიული საკანონმდებლო რეალობის შეცვლა.

**ამ მიზნით 1990 წელს გამოვაქვეყნე რამდენიმე წერილი, რომელშიც საზღვარგარეთის დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით საზოგადოებასა და ხელისუფლებას შევთავაზე პოლიტიკური პარტიების, წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებისა და რეფერენდუმის შესახებ მისაღები კანონების ძირითადი დებულებები.***

უმთავრესი აქ ის იყო, რომ კანონმდებლობით, პოლიტიკური პარტიების როლი და ფუნქციები მჭიდროდ უნდა დაკავშირებოდა ხელისუფლების ორგანოთა არჩევნების პროცესს. ამ საქმეს უნდა ჩამოშორებოდნენ საზოგადოებრივი (არაპოლიტიკური) გაერთიანებები, რომლებითაც ხელისუფლება ოსტატურად მანიპულირებდა წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებისას. არჩევნები მკაცრად პარტიული ხასიათის უნდა ყოფილიყო. ასეთ პირობებში არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება გამართლებული იქნებოდა, მაგრამ, რადგანაც მაშინ პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ორგანიზაციული ფორმირების საწყის სტადიაზე იმყოფებოდა, მიზანშეწონილად მიმაჩნდა, საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების შერეული სისტემით (მაჟორიტარულ-პროპორციულით) ჩატარება. საგულისხმოა, რომ შემდგომ, საქართველოში უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს თითქმის ყველა არჩევნები ამ სისტემით ჩატარდა. ამასთანავე, დავასაბუთე ორი პრინციპული ხასიათის წინადადება, რომელთა გათვალისწინება მომავალ საკანონმდებლო აქტებში აუცილებლად მიმაჩნდა. პირველის თანახმად, რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით უნდა აკრძალულიყო საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი პარტიული ორგანიზაციების შექმნა და მოქმედება, რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიების სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ცხადი იყო, ამის შემდეგ, საქართველოს კომპარტია უნდა გამოსულიყო საბჭოთა კავშირის კომპარტიის შემადგენლობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კანონგარეშედ გამოცხადდებოდა. მეორე წინადადება შეეხებოდა საყოველთაო საარჩევნო უფლების გარკვეულ შეზღუდვას. კერძოდ, კანონით საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ უნდა ჰქონოდათ იმ პირებს, რომლებიც მსახურობდნენ საბჭოთა არმიაში, სსრ კავშირის შინაგან ჯარებში და სხვა სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში. მათი პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა იმდენად დიდი იყო, რომ ხელისუფლებას შეეძლო, მათი ხმების გამოყენებით, არსებითი გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე. ჩემი აზრით, ამ შეზღუდვის საფუძველი იყო ის გარემოება, რომ ეს დაწესებულებები საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას არ ექვემდებარებოდნენ და, ამდენად, იქ მომუშავე პირებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ფორმირებაში არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

ეს წინადადებები გათვალისწინებული იქნა 1990 წლის 18 აგვისტოს მიღებულ საარჩევნო კანონში,* რომლის შემუშავებაში უშუალოდ მივიღე მონაწილეობა. იმავე წლის აგვისტოში გა-

* იხ. ჯონი ხეცურიანი. პოლიტიკური პარტიები. კონსტიტუციური რეგულირების გამოცდილება. გაზეთი „ცხოვრება და კანონი“ N2, 1990 წლის 10 ივნისი; ჯონი ხეცურიანი. პოლიტიკური პარტიები სამართლებრივი რეგულირების საკითხები. გაზეთი „კომუნისტი“ 1990 წელი, 19 ივნისი.

* იხ. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წელი, N8, მუხ. 205.



**საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიულ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია.**



ზეთ „ცხოვრება და კანონში“ გამოქვეყნებულ წერილში „რას გვაძლევს ახალი კანონი“, ვწერდი: *„სწორედ ამ კანონის საფუძველზე არჩეულმა ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ უნდა გადაჭრას რესპუბლიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ის საკითხები, რომლებიც კარგა ხანია, აღელვებს ქართველ ერს, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას“.**

# სახელმწიფოებრივი აღდგენიდან

**ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – რეფერენდუმის საკითხს. მე ამ ინსტიტუტზე მაშინ სრულიად შეგნებულად გავამახვილე ყურადღება, რადგანაც მიმაჩნდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი არა მხოლოდ დეკლარაციით (როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს 1918 წელს), არამედ უშუალოდ ხალხის მიერ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით – რეფერენდუმით უნდა გადაწყვეტილიყო. რეფერენდუმით მიღებულ გადაწყვეტილებას განსაკუთრებული იურიდიული ძალა ექნებოდა და მისი გაუთვალისწინებლობა, ვისგანაც უნდა ყოფილიყო იგი, ხალხის ნების იგნორირებად აღიქმებოდა.**

1990 წელსვე გამოვაქვეყნე წერილი „რეფერენდუმი“**, რომელშიც დავასაბუთე რეფერენდუმის შესახებ სპეციალური კანონის მიღების აუცილებლობა საქართველოს სსრ კონსტიტუციით გათვალისწინებული უშუალო დემოკრატიის ამ ინსტიტუტის ასამოქმედებლად. ჩემი აზრით, რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო როგორც ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ამომრჩეველთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივით, ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად. ამასთანავე, რეფერენდუმის შედეგებს იურიდიული ძალა უნდა ჰქონოდა და საკითხი საბოლოოდ გადაეწყვიტა. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ რეფერენდუმით. აქვე მივუთითე, რომ რეფერენდუმის გამოყენებით, ხალხს არაერთხელ მიუღწევია წარმატებისათვის. მაგალითად, 1905 წელს ნორვეგიამ სწორედ რეფერენდუმის გზით შეძლო შვედეთისგან გამოყოფა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

**ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე, 1990 წლის 28 ოქტომბერს, საბჭოთა სივრცეში პირველად, საქართველოში გაიმართა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. ქართველმა ხალხმა ამ არჩევნებში მხარი დაუჭირა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა საპროგრამო ამოცანა იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრგვალმა მაგიდამ – თავისუფალმა საქართველომ“ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, არჩევნებში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა.**

ახალარჩეული უზენაესი საბჭოს პირველ სხდომაზე, 1990 წლის 14 ნოემბერს ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. იმავე სხდომაზე მიიღეს კანონი „სა-



**„საქართველოს სახელმწიფოებრიობა ქართველმა ერმა მე-19 საუკუნის დასაწყისში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად“.**

ქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“*, რომლის თანახმად, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები. ამავე კანონით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა მოქმედ კონსტიტუციაში. იგი გათავისუფლდა კომუნისტური, სოციალისტური და საბჭოური ცნებებისა და დებულებებისაგან. ტექსტიდან ამოიღეს კომუნისტური პარტიის სტატუსის განმსაზღვრელი დებულება (მე-6 მუხლი). უარი ითქვა საბჭოური ტიპის სახელმწიფოზე. კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ *„საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში“* (68-ე მუხლი).

არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბებულ მთავრობაში მე იუსტიციის მინისტრის პოსტი დავიკავე. სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეფერენდუმის შესახებ კანონის მიღებას. ამ კანონის ძირითადი პრინციპები, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე გარკვეული გვქონდა. ამიტომ იგი სწრაფადვე იქნა მიღებული 1991 წლის 29 იანვარს.* ამ კანონის მიღებიდან სულ მალე რეფერენდუმის საკითხი უაღრესად აქტუალური გახდა როგორც მთელ საბჭოეთში, ისე ეროვნული ხელისუფლებისათვის საქართველოში. საბჭოთა კავშირის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ სსრ კავშირის ისტორიაში პირველად (და ეს უკანასკნელიც გამოდგა), გადაწყვიტა რეფერენდუმის ჩატარება 1991 წლის 17 მარტს „საბჭოთა კავშირის როგორც განახლებული ფედერაციის“ შენარჩუნების საკითხზე.** ცხადი იყო, ხალხის ნების აპელირებით ხელისუფლება ცდილობდა, შეეჩერებინა საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი.

შექმნილ ვითარებაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 28 თებერვალს მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, სახელდობრ, საქართველოს არ უნდა მიეღო მონაწილეობა საკავშირო რეფერენდუმში და, ამასთანავე, 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებულიყო რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე კითხვით: *„თანახმა ხართ თუ არა, აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“****

ამრიგად, რეფერენდუმს რეფერენდუმითვე უნდა დავპირისპირებოდით. ეს სამართლებრივი ბრძოლის იშვიათი მაგალითი იყო.

**საქართველომ საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო, სამაგიეროდ, 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმით, საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.******

ახლა უკვე საჭირო იყო რეფერენდუმის შედეგებში გამოვლენილი ხალხის ნება სათანადო სამართლებრივ ფორმაში გამოგვეხატა. ზვიად გამსახურდიას დავალებით შევუდექით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტის მომზადებას. რა თქმა უნდა, როგორც პოლიტიკურად, ისე სამართლებრივად, ამ პროექტის შედგენისას მთავარი ორიენტირი საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი იყო, თუმცა, მისი მიღებიდან უკვე საკმაო დრო იყო გასული, რეალობებიც შეცვლილი იყო მსოფლიოში და ამასთან, ზვიად გამსახურდიასაც ჰქონდა გარკვეული შენიშვნები მის მიმართ.

კერძოდ, იგი, ჩემი აზრით სრულიად სამართლიანად, გამოთქვამდა გულისწყრომას დამოუკიდებლობის აქტის იმ ნაწილის მიმართ, რომელშიც პირდაპირ ნათქვამია, რომ *„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს...“* ასევე არ მოსწონდა ისიც, რომ დამოუკიდებლობის აქტის გაცნობისას იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო იმ დროს არსებული საერთაშორისო მდგომარეობის გამო, იძულებული იყო, გამოეცხადებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. რასაკვირველია, ეს გარემოებები სრულებითაც არ აკნინებდა ამ აქტის უდიდეს პოლიტიკურ და სამართლებრივ მნიშვნელობას და მისი გათვალისწინება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შემუშავებისას აუცილებელი იყო.

როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტი წარვუდგინე ზვიად გამსახურდიას, მან თავისი ხელით რამდენიმე არსებითი ცვლილება და დამატება შეიტანა მასში. სახელდობრ, პროექტში ეწერა, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრიობა დაკარგული იქნა გარეშე ძალის ჩარევით. ზვიად გამსახურდიამ ამის ნაცვლად ჩაწერა: *„საქართველოს სახელმწიფოებრიობა ქართველმა ერმა მე-19 საუკუნის დასაწყისში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად“*.

პროექტში მითითებული იყო, რომ „საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით...“ ზვიად გამსახურდიამ ამ აბზაცს ასეთი დამატება წაუმძღვარა: *„საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიულ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია“*.

ზვიად გამსახურდიამ კიდევ ორი მნიშვნელოვანი დამატება შეიტანა პროექტში. ერთი ეხებოდა ავტონომიებს, ხოლო მეორე საქართველოს საგარეო პოლიტიკას. პირველი დამატება ასეთი შინაარსის იყო: *„საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიის მტკიცე კონსტიტუციურ გარანტიას აძლევს აფხაზ ხალხს, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით“*. მეორე დამატების თანახმად, სახელმწიფოთა შორის ყოველგვარ სამხედრო კონფლიქტებში საქართველო ნეიტრალურ სახელმწიფოდ უნდა დარჩენილიყო. მე ჩემი მოსაზრებები მოვახსენე ზვიად გამსახურდიას ამ ორი დამატების თაობაზე. ჩემი აზრით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ავტონომიის შესაძლო გაუქმების შესახებ თუნდაც მინიშნება, არ იქნებოდა მიზანშეწონილი, მეტადრე იმ პირობებში, როდესაც ერთი ავტონომია, სახელდობრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, უკვე გაუქმებული იყო ჩვენი ხელისუფლების მიერ და იქ წარმოშობილი კონფლიქტი კვლავაც გრძელდებოდა.

რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, მართალია, ეს იდეა მომხიბვლელად გამოიყურებოდა, თანაც 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის დებულებას იმეორებდა, მაგრამ მიმაჩნდა, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალები და თავდაცვის საიმედო საშუალებები, ნეიტრალურად ყოფნა, რბილად რომ ვთქვათ, სახიფათო იყო. საბჭოთა იმპერიისაგან თავის დახსნა და შესაძლო აგრესიის არდაშვება, მით უმეტეს, მოგერიება, ძლიერი მოკავშირეების გარეშე უიმედო საქმედ მეჩვენებოდა, თანაც ნეიტრალიტეტის სტატუსის მიღება მხოლოდ ჩვენს სურვილზე არ იყო დამოკიდებული, მას სხვა ქვეყნების მხრიდან აღიარება სჭირდებოდა.

იხ. 10 გვ.

* იხ. გაზეთი „ცხოვრება და კანონი“ N8, 1990 წელი, 30 აგვისტო.
** იხ. გაზეთი „კომუნისტი“ 1990 წელი, 18 მარტი.

* საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. 1990 წელი, N11, მუხ. 291, 292, 293.

* საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წელი, N1, მუხ. 18.
** სარეფერენდუმო კითხვა შემდეგნაირად იყო დასმული: „თვლით თუ არა თქვენ საჭიროდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, როგორც თანასწორუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის შენარჩუნებას, რომელშიც მთელი სისრულით იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანის უფლებები და მოვალეობები“
*** იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წელი, N2, მუხ. 188.
**** რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 90,3%-მა, აქედან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარს დაუჭირა 98,9%-მა.

# 35 წელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან

მართალია, ჩვენმა წინაპრებმა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში საქართველო ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადეს, მაგრამ შემდეგ, 1921 წლის კონსტიტუციაში ეს დებულება აღარ შეიტანეს სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო.*

საბოლოოდ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტი ამ ორი დამატების გარეშე იქნა შედგენილი, ხოლო მისი მიღების დღედ 1991 წლის 9 აპრილი განისაზღვრა.

**1991 წლის 9 აპრილს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რომელიც ეყრდნობოდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას წინადადებით, თავის საგანგებო სხდომაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო.****

საქართველოს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საქვეყნოდ დეკლარირებაა, არამედ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციურ-სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი განვითარების ძირითად ორიენტირებს. მისი უმაღლესი იურიდიული ძალის დადასტურებაა უზენაესი საბჭოს მიერ იმავე დღესვე მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ“,*** რომლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი



1991 წლის 9 აპრილს დამტკიცებულ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტთან (მე-3 პუნქტი).*

* * *

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში გადმოცემულია შემდეგი ძირითადი დებულებები:

**– საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება ამ აქტით კი არ იწყება, არამედ მისი მეოხებით ხდება რუსეთის მიერ მე-19 და მე-20 საუკუნეებში საქართველოს მიმართ ორჯერ განხორციელებული აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის შედეგების დაძლევა და მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა;**

– საქართველოს აღდგენილი სახელმწიფოებრიობა საქართველოს 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა და არა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფილი სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც იგი იძულებით იყო ინკორპორირებული;

**– საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი და 1921 წლის კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის 1921 წლის სამხედრო აგრესიის დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია;**

– საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა განახორციელა ქართველმა ხალხმა 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით, რომელიც დანიშნა 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ (სახალხო სუვერენიტეტი).

**– ქართველმა ხალხმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე და საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადდა, რომლის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ამიტომ სხვა სახელმწიფოთა ნებისმიერი მოქმედება, რომელიც შეზღუდავს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობას, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად (სახელმწიფო სუვერენიტეტი, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი);**

– საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანია და განუყოფელი. ამიტომ ყოველი მოქმედება, მიმართული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება აგრესიად და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად (სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი);

**– საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად აღიარებულია საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე;**

- საქართველოს რესპუბლიკა თანაბრად დაიცავს ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ყველა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპი);

**– საქართველო მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპს;**

– საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, „*რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი*“ (ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი);

**– გამოთქმულია იმედი, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა „*აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება*“**

* * *

**ამრიგად, ყოფილ საბჭოეთში საქართველო აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო დარტყმა საბჭოთა იმპერიული მანქანისაგან, მსხვერპლი გაიღო ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის და ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, რითაც დაჩქარდა საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტისა და გეოპოლიტიკური რეალობის რღვევის პროცესი, ხოლო საქართველომ განაგრძო 1918 წლის 26 მაისს დაწყებული თანამედროვე, დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა.**

* იხ. მალხაზ მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. შემუშავება და მიღება. 2008, თბილისი, გვ. 125, 176; ბექა ქანთარია. კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში. „სამართალი“, თბილისი, 2013, გვ. 66.

** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წელი, N4, მუხ. 291.

ჩემთვის განსაკუთრებული პატივია, რომ ამ აქტზე ჩემი ხელმოწერაცაა (ჯ. ხ.).

*** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წელი, N, მუხ. 292.

* 1991 წლის 23 მაისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ (იხ.საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წელი, N5, მუხ. 391).



პროექტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა მიღმა იღებს სათავეს, მე-19 საუკუნის დასაწყისში [illegible] არასოდეს შეგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღსდგა [illegible] გაუქმებული სახელმწიფოებრიობა, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება, მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას,

აღგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.



\- 2 -

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია და მის ფარგლებში მოქმედებს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობა, ყოველი მოქმედება მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისათვის ჩაითვლება სუვერენულ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს, უზრუნველყოფს ადამიანის, ეროვნულ უმცირესობათა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

პროექტში შესწორებები და დამატებები შეტანილია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიერ.

# ვინ ანგრევს ახალგაზრდობის ჯანმრთელობას?!

## თამბაქოს კონტროლის ალიანსი თამბაქოსა და ნიკოტინის ნაწარმის მკაცრ კონტროლს ითხოვს!

**თამბაქოს კონტროლის კანონის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა, მინიმალური ფინანსური და ადამიანური რესურსების მიუხედავად, ეფექტურად ახერხებს ფიზიკურ სივრცეში კანონის აღსრულების კონტროლს, თუმცა მდგომარეობა კრიტიკულია „ციფრულ ჯუნგლებში“, სადაც თამბაქოს ინდუსტრიამ ბრძოლის ველი გადაიტანა,** „ ამის შესახებ ნათქვამია **თამბაქოს კონტროლის ალიანსის** მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



თამბაქოს კონტროლის ალიანსის ინფორმაციის თანახმად, სოციალურ ქსელებში ინფლუენსერები „ვეიპებისა“ და გასახურებელი თამბაქოს პოპულარიზაციას ეწევიან.

„ამ ომში საქართველო მარტო არ არის, თუმცა სხვები მოქმედებენ. თამბაქოს ინდუსტრიის სტრატეგია, გამოიყენოს სოციალური მედია რეგულაციების გვერდის ასავლელად, ახალი არ არის, თუმცა ცივილიზებული სამყარო მას მკაცრად პასუხობს. აშშ-ში, მას შემდეგ, რაც კომპანია JUUL-მა ინფლუენსერების მეშვეობით ახალგაზრდებში ნიკოტინზე დამოკიდებულების ეპიდემია გამოიწვია, FDA-მ (წამლისა და საკვების ადმინისტრაცია) მრავალმილიონიანი ჯარიმები დააკისრა მათ მწარმოებელს და მკაცრად აკრძალა არომატიზებული პროდუქტები; ახალი ზელანდია არის ქვეყანა, რომელიც „თამბაქოს გარეშე ეპოქის“ (Tobacco-free generation) დასაწყებად ემზადება და ყოველგვარ ციფრულ მარკეტინგს აღიქვამს, როგორც კრიმინალს და არა „გამოხატვის თავისუფლებას; დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გააცნობიერა, რომ „ნაკლები ზიანის“ მითი ინდუსტრიამ ბავშვების მოსაზიდად გამოიყენა, რის გამოც ახლა ვეიპების დიზაინსა და ხელმისაწვდომობაზე რადიკალურ შეზღუდვებს აწესებს. საქართველოში განსაკუთრებით საგანგაშოა თამბაქოს ინდუსტრიის მიერ დაფინანსებული „სამედიცინო ტრენინგები“ ინდუსტრია ფულს უხდის ცნობილ ექიმებს, რათა პაციენტები დაარწმუნონ, თითქოს ელექტრონული სიგარეტი „ნაკლები ზიანის მომტანია“ ეს არის ჯანმოს „თამბაქოს კონტროლის ჩარჩოკონვენციისა“ (FCTC) და „თამბაქოს კონტროლისა“ და „რეკლამის შესახებ“ კანონების პირდაპირი დარღვევა, რომელიც კრძალავს თამბაქოს ან ნიკოტინის ნაწარმის ნებისმიერი სახის რეკლამას, პოპულარიზაციასა და სპონსორობას.

მიუხედავად მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი უამრავი დარღვევისა, სამწუხაროდ, სახელმწიფო ეფექტურად ვერ რეაგირებს თამბაქოს ინდუსტრიის მიერ დაფინანსებულ პროგრამებსა და კონკრეტული პირების უკანონო ქმედებებზე. ფაქტია, თამბაქოს ინდუსტრია არის რეალური მტერი, რომელიც:

1. აფინანსებს ცალკეულ პირებსა და კამპანიებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წინააღმდეგ;
2. ანგრევს მომავალ თაობას, რაც ქვეყნის დემოგრაფიული და ეროვნული უსაფრთხოების საკითხია;
3. აწვება მძიმე ტვირთად ბიუჯეტს: თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა სახელმწიფოსა და დაზარალებულ მოქალაქეებს რამდენიმე მილიარდი ლარი უჯდება „გაცილებით მეტი, ვიდრე ინდუსტრიას გადასახადების სახით შეაქვს. სახელმწიფო თუ არ გაამკაცრებს კონტროლს ციფრულ სივრცეში და არ აღკვეთს ინფლუენსერების მიერ ნიკოტინის პროპაგანდას, მივიღებთ: ახალგაზრდების მასობრივ დამოკიდებულებას „ტექნოლოგიურ ნიკოტინზე“; სამედიცინო ხარჯების კატასტროფულ ზრდას უახლოეს 3-5 წელიწადში; კანონის სრულ ნიველირებას „როდესაც რესტორანში მოწევა აკრძალულია, მაგრამ ეკრანიდან მოზარდს „ვეიპინგისკენ“ მოუწოდებენ.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოვითხოვთ: სოციალურ ქსელებში თამბაქოსა და ნიკოტინის ნაწარმის ნებისმიერი ფორმით გამოჩენის მკაცრ მონიტორინგს და ინფლუენსერების დაჯარიმებას; სამედიცინო პერსონალის იზოლირებას თამბაქოს ინდუსტრიის ფინანსური გავლენებისგან; აღსრულების მექანიზმების გაძლიერებას და მონიტორინგის პროგრამის ადეკვატურ დაფინანსებას. ჯანმრთელობა არ იყიდება. სახელმწიფომ უნდა აჩვენოს, ვის ინტერესებს იცავს „საკუთარი მოქალაქეების თუ მულტინაციონალური თამბაქოს გიგანტების“, „ ნათქვამია **თამბაქოს კონტროლის ალიანსის** ინფორმაციაში.

„პრაიმტაიმი“



# გორი და ყარაღანდა დამეგობრდნენ

**გორის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე გუზალაძემ ყაზახეთში ვიზიტის ფარგლებში გორსა და ყარაღანდას შორის დამეგობრების შესახებ მემორანდუმს მოაწერა ხელი.**

მემორანდუმი გორსა და ყარაღანდას შორის მიმდინარე თანამშრომლობას, ერთობლივ პროექტებსა და სხვადასხვა მიმართულებით გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს.

გორის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე გუზალაძემ** აღნიშნა, რომ ყარაღანდა გორისთვის პირველი დამეგობრებული ქალაქია ყაზახეთში, რაც ეკონომიკური და კულტურული დიალოგის გააქტიურების საუკეთესო წინაპირობაა.

ოფიციალური ვიზიტით ყაზახეთში იმყოფებოდა ასევე შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული **სიმონ გულედანი,** მერის მოადგილე **თორნიკე ფხაკაძე** და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **მარლენ ნადირაძე.**

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ქალაქ ყარაღანდაში, ოლქის გუბერნატორთან **ერმაგანბეტ ბულეკპაევთან.** შეხვედრაზე თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობები განიხილეს. ერმაგანბეტ ბულეკპაევის თქმით, ყარაღანდის ოლქი, თავისი მდიდარი ნედლეულითა და სტრატეგიული მდებარეობით, ღიაა ინვესტიციებისა და ექსპორტის გაფართოებისთვის. მან განსაკუთრებული აქცენტი ტურიზმის სფეროში მჭიდრო კავშირების დამყარებაზე გააკეთა.

თავის მხრივ, **სიმონ გულედანმა** ხაზი გაუსვა ორ რეგიონს შორის არსებულ მსგავსებებსა და ეკონომიკურ პოტენციალს. მისი თქმით, ტურიზმის გარდა, თანამშრომლობის დიდ რესურსს სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა და სამშენებლო მასალების წარმოება იძლევა.

# რევაზ სოხაძე: სკოლების მშენებლობა უმთავრესი პრიორიტეტია!

**საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გამოწვევად რჩება,** – განაცხადა ინფრასტრუქტურის მინისტრმა **რევაზ სოხაძემ** ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემაში „დებატები“.

მინისტრის განცხადებით, განსაკუთრებით მძიმეა შემთხვევები, როდესაც სკოლის მშენებლობა ან რეაბილიტაცია წლების განმავლობაში ჭიანურდება, რის გამოც მოსწავლეები ვერ იღებენ სრულფასოვან განათლებას. მისი შეფასებით, ეს წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას თითოეული ოჯახისთვის და საჭიროებს დაუყოვნებელ რეაგირებას.

**„როდესაც საქმე ეხება ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებას, ეს საკითხი ვერ გადაიდება, განსხვავებით სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისგან“** – აღნიშნა მინისტრმა. რევაზ სოხაძის თქმით, აქტიურად მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები და უახლოეს პერიოდში გამოცხადდება 14 სკოლის რეაბილიტაციის პროექტი. წლის განმავლობაში კი იგეგმება 50-60 ახალი სკოლის მშენებლობის ტენდერის გამოცხადება.



**მინისტრის განცხადებით, მომდევნო წელს აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდება და განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება დარჩება მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად.**

# აფხაზეთიდან დევნილ სპორტსმენებს ვიქტორ სანეევის და ვიტალი დარასელიას სახელობითი სტიპენდია გადაეცა



**ვიქტორ სანეევის და ვიტალი დარასელიას სახელობითი სტიპენდია აფხაზეთიდან დევნილ 19 სპორტსმენს გადაეცა.**

აფხაზეთიდან დევნილი, სპორტის სხვადასხვა სახეობაში წარმატებული სპორტსმენები ვიქტორ სანეევის და ვიტალი დარასელიას სახელობითი სტიპენდიებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ჯინჭარაძემ დააჯილდოვა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ როგორც ოლიმპიური, ასევე არაოლიმპიური სპორტის წარმომადგენლები, რომლებმაც მაღალი შედეგებით გამოიჩინეს თავი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული სპორტის განვითარებაში. დაჯილდოების ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტის წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი გენო პეტრიაშვილი, სპორტის სფეროს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

□ირანთან მიმართებით თეთრი სახლის მიერ გადადგმული მცდარი ნაბიჯების შედეგთა გამოსწორება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ წარსულის გაკვეთილებს გაითვალისწინებთ□ – წერს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) მე-8 დირექტორი 2021-25 წლებში **უილიამ ბერნსი** გაზეთ **□ნიუ-იორკ თაიმსის□(The New York Times)** 26 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით **□როგორ შეუძლია დონალდ ტრამპს ირანთან შექმნილი არეული სიტუაციიდან გამოგვიყვანოს□**

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

The New York Times

# საერთაშორისო ჟურნალისტების თვალსაწიერი



# სამი გაკვეთილი,

## ანუ „როგორ შეუძლია დონალდ ტრამპს, ირანთან შექმნილი არეული სიტუაციიდან გამოგვიყვანოს“

**ირანის ისლამური რესპუბლიკა და მისი ძალადობრივი მოქმედებით გამოწვეულმა შედეგებმა მთელ ჩემს კარიერაზე დიდი გავლენა მოახდინა. როცა დიპლომატიური სამსახურის დაწყებისას გამოცდებს ვაბარებდი, 1979 წლის ბოლოს, თეირანში ისლამური რევოლუციის მომხრეებმა აშშ-ის საელჩოს თანამშრომლები მძევლად აიყვანეს.**

მოგვიანებით, 1983 წელს, დაკავებული ვიყავი ლიბანში, ბეირუთში არსებულ ჩვენს საელჩოში მომხდარი საშინელი აფეთქების შედეგებით. თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ, 2013 წელს საიდუმლო მოლაპარაკებებს ვატარებდი ირანის წარმომადგენლებთან ბირთვული პროგრამის თაობაზე. 2023 წლის 7 ოქტომბრის ტერაქტის გამო კი ბრძოლა დავიწყე ირანის მარიონეტებთან მთელ ახლო აღმოსავლეთში. როგორც იტყვიან, ბრძოლის დროს □შუბლზე ბევრი კოპი მივიღე□, მაგრამ მწარე გაკვეთილებიც ავითვისე, თუ როგორი მიდგომებია საჭირო ირანთან მიმართებით.

გაჩაღდა რა ომი ირანის წინააღმდეგ საკუთარი შეხედულებით, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მხედველობაში არ მიიღო არც ჩვენს მიერ დაშვებული ყველა შეცდომა და არც თავისი, პირველი ვადის დროინდელი შეცდომები არ გაუთვალისწინებია, კერძოდ, ის, რომ მას ეგონა - ბომბებით და ირანის ლიდერების ლიკვიდირებით რეჟიმს შეცვლიდა. დონალდ ტრამპმა ჩათვალა, რომ ტაქტიკური სამხედრო წარმატებებით სტრატეგიულ გამარჯვებას მიაღწევდა. როცა პრეზიდენტი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდა, მას ეგონა, რომ პრეზიდენტის ძლიერ მანდატზე და ე.წ. □სასახლის პოლიტიკაზე□დაყრდნობით, სასურველ შედეგს სწრაფად მიაღწევდა. და ბოლოს, იგი ისე იმპროვიზირებდა მოლაპარაკებების დროს და ისეთ კომენტარებს აკეთებდა, რომ წინასწარ არ უფიქრდებოდა მოსალოდნელ რეაქციებს და შედეგებს.

საქმის უცოდინარობითა და დაუფიქრებლობით დაშვებულმა ასეთმა შეცდომებმა ამერიკას სტრატეგიული ზიანი უკვე მიაყენა. სამწუხაროდ, მოლაპარაკებები პაკისტანის შუამავლობით თითქმის ჩაიშალა, თუმცა მაინც არსებობს მინიმალური იმედი, რომ შეიძლება სიტუაცია როგორმე გამოსწორდეს.

**დონალდ ტრამპს აშშ-ის ინტერესების გადარჩენაში სამი მნიშვნელოვანი გაკვეთილის გათვალისწინება მოუწევს:**

***პირველი*** *- რთული საგარეო-პოლიტიკური პრობლემების სწორი გადაწყვეტა დროსა და მოთმინებას ითხოვს. ეს გაკვეთილი ფატალისტური არ არის და არ გვასწავლის იმას, რომ რთულ არჩევანს თავი ავარიდოთ, არამედ იმას, თუ რისი მიღწევა შეგვიძლია სხვა პრიორიტეტების უკან დაწევით და გარკვეული გონივრული დანაკარგებით როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. იდეალური გადაწყვეტილება დიპლომატიაში დიდი იშვიათობაა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე გვაქვს ულმობელ და თავიდან ბოლომდე იდეოლოგიზირებულ რეჟიმთან, რომელსაც საზოგადოებაში ფესვები ღრმად აქვს გადგმული. ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ წარმატების მისაღწევად უმოკლესი გზა რეჟიმის ხელმძღვანელების განადგურებაზე გადის, მაგრამ როგორც ირანის დღევანდელმა მმართველმა ადმინისტრაციამ დაადასტურა, აიათოლებისა და მაღალჩინოსნების სიკვდილით რეჟიმის დამარცხება მხოლოდ ილუზიაა და მეტი არაფერი.*

პრეზიდენტ ბარაკ ობამას ლოგიკა ირანთან პირდაპირი დიპლომატიის დროს გამოიხატებოდა იმით, რომ თამაში გრძელვადიანი იქნებოდა: უნდა მომხდარიყო თეირანის ყველაზე ნეგატიური საფრთხე-მუქარების შეკავება (ბირთვული იარაღის შექმნის შეკავების ჩათვლით), პარალელურად კი მხარდაჭერილი უნდა ყოფილიყო ირანელი ხალხის სწრაფვა პოლიტიკური თავისუფლებების მოპოვებაში. ისევე როგორც მისი წინამორბედი, რესპუბლიკელი ჯორჯ ბუშ-უმცროსი, დემოკრატი ბარაკ ობამაც დაკვირვებით და აწონილ-დაწონილად მოქმედებდა. ორივე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსალოდნელი ზიანი ბევრად მეტი იქნებოდა სავარაუდო სარგებელთან შედარებით.

დონალდ ტრამპმა კი, რომელიც ფრთაშესხმული იყო 2025 წლის ივნისში ირანთან 20-დღიანი საჰაერო ომის შედეგებით და ვენესუელის წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციით 2026 წლის იანვარში, ამერიკელთა საუბედუროდ, სრულიად სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. სახელმწიფოს მიერ საგარეო პოლიტიკაში დაშვებული მსგავსი მასშტაბური შეცდომის გამოსწორება ძალიან რთულია ან საერთოდ შეუძლებელია. ტრამპის ადმინისტრაციას ჯერ კიდევ აქვს მყიფე შანსი იმისა, რომ ირანიდან მომდინარე საფრთხეები მეტ-ნაკლებად გაანეიტრალოს და შეაკავოს.

***მეორე*** *– ვერავინ ვერაფრით ვერ ჩაანაცვლებს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ყველა არსებული ინსტრუმენტების პროფესიულ და კომპეტენტურ გამოყენებას. რა თქმა უნდა, ეკონომიკური და სამხედრო გავლენების ბერკეტების გარეშე მხოლოდ დიპლომატიით წინ ვერ წახვალ. მაგრამ მხოლოდ ძალა, რომელსაც თან არ ახლავს დაუღალავი და დაფიქრებული, აწონილ-დაწონილი დიპლომატია და ხარისხიანი სადაზვერვო მონაცემები, იშვიათად იძლევა სასურველ შედეგს. გარდა ამისა, მოლაპარაკების წარმოება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მოწინააღმდეგეს საკუთარი ნება თავს მოახვიო. მოლაპარაკება ხშირად რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს ურთიერთკომპრომისებით, დათმობებით, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას და სხვადასხვა მეთოდებით ზეგავლენას.*

თუ ცეცხლის შეწყვეტის ვადები ისევ გაგრძელდება, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მოლაპარაკებისათვის ორი საკვანძო პრობლემაზე - ბირთვულ პროგრამაზე და ჰორმუზის სრუტეზე. და თუ შეთანხმებები დაიდება, განსაკუთრებით ბირთვულ სფეროში, მისი ქვაკუთხედი უნდა იყოს მკაცრი საერთაშორისო ინსპექცია და მორატორიუმი ურანის გამდიდრებაზე (ან უკვე არსებული მარაგის მინიმუმამდე შემცირება, გამდიდრების დაბალი დონით). სამაგიეროდ, ირანის მიმართ აშშ-ის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები უნდა შესუსტდეს (ან საერთოდ გაუქმდეს). რაც შეეხება ჰორმუზის სრუტის შესახებ შეთანხმებას, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს სპარსეთის ყურის მონაპირე ქვეყნების ინტერესებიც, საერთაშორისო თავისუფალი ნაოსნობის პრინციპები, სრუტის განნაღმვა და ირანის ეკონომიკის აღდგენის საკითხიც.

ამასთან, აშშ-მა არ უნდა დაუშვას ირანის მიერ შეთანხმებების დარღვევა.

***მესამე*** *და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გაკვეთილი გამოიხატება იმაში, რომ □მდელოზე გაზონის გაკრეჭვა□, ანუ უხეში ძალის გამოყენება უშუალო საფრთხის მიმართ გრძელვადიანი გეგმის გარეშე, მხოლოდ ართულებს იმავე □მდელოზე არსებული პრობლემების□მოგვარებას. მათი სია საკმაოდ დიდია: ირანის რეჟიმი სამხედრო და ეკონომიკურ ზეწოლას დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც უძლებს. ირანი დასუსტდა, მაგრამ ხალხი (საზოგადოება) უფრო ხისტი გახდა და ინსტიქტურად გაბოროტდა. ჰორმუზის სრუტეს, რომელიც ირანისათვის ბუნებრივ-გეოგრაფიულ სტრატეგიულ საჩუქარს წარმოადგენს, ფაქტია, რომ დღეს თეირანი გავლენის ძლიერ ბერკეტად იყენებს. არსებობს საფრთხე, რომ სრუტე ირანმა სამომავლოდ შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი ზეწოლის ინსტრუმენტად გამოიყენოს, ვიდრე ამჟამად მისთვის ბირთვული პროგრამა და ბალისტიკური რაკეტები წარმოადგენს. სამწუხაროდ, აშშ-ის როგორც მოკავშირის ავტორიტეტის დაცემა ევროპაში და ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონში ნეგატიურ გავლენას ახდენს ვაშინგტონის ლიდერობაზე სპარსეთის ყურეშიც. აქაური არაბული ქვეყნები აშშ-სადმი ნდობას კარგავენ.*

სამწუხაროდ, აშშ-ის ომი ირანთან მაშველი რგოლი აღმოჩნდა ვლადიმერ პუტინისათვის: ჰორმუზის სრუტის ბლოკირების შედეგად გამოწვეული ენერგეტიკული კრიზისის შესუსტების მიზნით დონალდ ტრამპის მიერ სანქციების მოხსნამ (დროებით, მაგრამ მაინც) რუსული ნავთობის ექსპორტზე კრემლს მოულოდნელი და დამატებითი შემოსავლები მოუტანა. გარდა ამისა, აშშ-მა თავისი იარაღის რეზერვები ირანთან ომში დახარჯა, უკრაინა კი სამხედრო ტექნიკით დახმარების გარეშე დარჩა (მართალია, ნატოელი მოკავშირეების ფულით შეძენილის, მაგრამ მაინც). და ეს ხდება იმ დროს, როცა უკრაინა ფრონტზე წარმატებით მოქმედებს, რუსეთის ეკონომიკა კი □ბუქსაობს□.

თავის მხრივ, სი ძინპინიც დარწმუნებულია, რომ ომმა ჩინეთს სტრატეგიული სარგებელი მოუტანა: დონალდ ტრამპი პეკინში ვიზიტისათვის ემზადება (მაისის შუა რიცხვებში) და ჩინელ ლიდერს, ალბათ, იმედი აქვს, რომ [ირანთან ომის გამო არასასიამოვნო სიტუაციაში მყოფ] ამერიკელ კოლეგას მოლაპარაკების დროს გარკვეულ დათმობებს □გამოსტყუებს□როგორც ვაჭრობისა და ტექნოლოგიების სფეროებში, ასევე ტაივანთან დაკავშირებულ საკითხებშიც.

**და ბოლოს,** აშშ-ის ომმა მსოფლიო ეკონომიკაში ისეთი დიდი და ღრმა პრობლემები წარმოქმნა, რომელთა შედეგები საგრძნობი იქნება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში – იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი კიდევ გაგრძელდება.

**მოკლედ, ჩვენ ესოდენ ღრმა ორმო არ უნდა ამოგვეთხარა, რომელიც ჩვენთვისვე სახიფათო იქნებოდა. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ არის გვიან ნიჩაბი გვერდზე გადავდოთ, რამდენიმე რთული გაკვეთილი კარგად ვისწავლოთ და მიღებული ცოდნა ცოტა მეტი თავმდაბლობით გამოვიყენოთ.**



მოამზადა

**სიმონ კილაძემ**

# იაპონია — ჩინეთის შეკავების სინდრომი

**მსოფლიოს გეოპოლიტიკურმა არასტაბილურობამ იაპონიას გამალებული შეიარაღებისკენ უბიძგა. ქვეყნის მთავრობასა და მის ახლანდელ მეთაურს, ქალბატონ-ტაკაიჩის, იაპონიის ძლიერ სამხედრო ძალად ქცევა სურთ, რაშიც, წინათ, მათ ხელს იაპონიის პაციფისტური კონსტიტუცია უშლიდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის ძირითად კანონში, 2014 წელს, პრემიერ-მინისტრ სინძო აბეს მმართველობის დროს მოხდა, როცა პარლამენტმა კონსტიტუციის მე-9 მუხლი ახლებურად განმარტა კოლექტიური თავდაცვის სასარგებლოდ.**

მომდევნო წელს, პარლამენტმა უსაფრთხოების შესახებ კანონი მიიღო, რომელიც იაპონიას ძალის გამოყენების უფლებას აძლევს თუ მის მეგობარ ქვეყანას მტრული ძალა შეუტევს. ამჯერად, კი, იაპონიამ მოიერიშე სამხედრო ტექნიკის ექსპორტზე მორატორიუმი გააუქმა. იარაღის ექსპორტის წესების ასეთმა შემსუბუქებამ მსოფლიო მასშტაბის ინტერესი გამოიწვია. იაპონური სამხედრო ტექნიკა ხომ ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში! გადაწყვეტილება ასეთია: იაპონია მოკავშირეებს იარაღის ექსპორტის გზით დაეხმაროს და გააძლიეროს მათი სამხედრო პოტენციალი. იაპონიისა და ავსტრალიის მთავრობებმა ამ საკითხზე უკვე გააფორმა ხელშეკრულება. დოკუმენტის მიხედვით, იაპონია ააშენებს და ავსტრალიას მიაწვდის მოგამის კლასის თერთმეტ სამხედრო ფრეგატს, რომელიც სტელსის ტექნოლოგიას იყენებს, რაც მათ, რადარებისთვის, პრაქტიკულად, უხილავს ხდის. ამ კლასის ფრეგატი, სხვებთან შედარებით, უფრო მინიატურულია, მაგრამ მომაკვდინებელი ძალა აქვს. ფრეგატს მხოლოდ 90-კაციანი ეკიპაჟი ემსახურება. საბრძოლო მოქმედებების დროს, ეკიპაჟი, შეიძლება, 60 კაცამდე შემცირდეს. დარჩენილ ოპერაციებს ავტომატიზაცია უზრუნველყოფს. ავსტრალიის სამეფო საზღვაო ძალები, იაპონელების მსგავსად, ადამიანური რესურსების სერიოზულ დეფიციტს განიცდის. ამიტომ, ეს ფაქტორი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეიარაღების გარდა, იაპონია დღითი დღე აძლიერებს მოკავშირეებთან სამხედრო თანამშრომლობას. მაგალითად, იაპონიას ოფიციალური ვიზიტით ნატოს წარმომადგენელთა დიდი დელეგაცია ეწვია, რომელიც 30 ქვეყნით იყო წარმოდგენილი. ასეთი დელეგაციის ვიზიტი პირველად მოხდა იაპონიის ისტორიაში. სამდღიანი ვიზიტის დროს, დიპლომატები იაპონიის მაღალჩინოსნებს შეხვდნენ, რათა ის სფეროები განეხილათ, სადაც ორივე მხარე, თავდაცვის ინდუსტრიაში, მოწინავე ტექნოლოგიებსა და ახალ საფრთხეებზე ერთობლივ რეაგირებაში სტრატეგიულ სარგებელს მიიღებს.

შეხვედრებზე პირდაპირ ითქვა: რადგან ევროპა თავდაცვაში ინვესტიციებს აჩქარებს და იაპონია განაგრძობს უპრეცედენტო სამხედრო გაძლიერებას, ეს პარტნიორობა, შესაძლოა, მოკავშირეთა სამხედრო ძალის გაძლიერების სტიმულატორი გახდეს. ოფიციალურმა პირებმა, შეხვედრაზე, კიბერ-სივრცე, კოსმოსი და ინოვაციები გამოკვეთეს, როგორც გაძლიერების ძირითადი სფეროები. ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, ბრიუსელში იაპონიისა და ევროპის თავდაცვის ინდუსტრიის წარმომადგენლების პირველი თათბირი გაიმართა, რომლის მიზანი ბიზნეს შესაძლებლობების განვითარება და თავდაცვის სფეროს მიწოდების ჯაჭვის გაძლიერება იყო. იაპონია-ევროკავშირის თავდაცვის ინდუსტრიის დიალოგში მონაწილეობა 50-მა კომპანიამ მიიღო. შეხვედრაზე, იაპონიის აერონავტიკის კომპანიების ასოციაციამ ევროპის აერონავტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების ინდუსტრიების ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სახელმწიფო მინისტრი, ტოშირო ინო და ევროკომისარი თავდაცვისა და კოსმოსის საკითხებში ანდრიუს კუბილიუსი. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს დიალოგი კონკრეტულ ბიზნეს შესაძლებლობებს და იაპონიასა და ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას გამოიწვევს, განაცხადა ბატონმა ინომ.



**ამ მოვლენებზე მწვავე რეაქცია ჰქონდა ჩინეთს. პეკინმა ეს იმის დასტურად მიიჩნია, რომ ნატოს, რომლის ვალდებულებებიც ევროპითა და ატლანტის ოკეანით შემოიფარგლება, ახლა, აზიაში სურს ფესვების გადგმა. მთავარი მიზანი კი, ჩინეთის შეკავებაა.**

**ნუგზარ ბ. რუხაძე,**

**POSTV**



### ჯუმბერ სარდლიშვილი

# კევრივით ვლეწავ სულის თავთავს...

## ჩვილის ღუღუნი

დედის ძუძუზე ჩვილი ღუღუნებს
ფერად-ფერადი სიზმრებით ხელში.
ხეზე ფოთლები არხევენ სიოს,
შემოდგომა დუღს კაცის ძარღვებში.

არ დაიმდაბლო თავი, ღვთის გლახავ,
ვაზის ცრემლებში არ დაიმალო,
არ დაგავიწყდეს, წუთისოფელში,
ერთხელ მოხვედი, ადამიანო!

ნოტებს ჰქარგავენ ხეზე ჩიტები
შენი მოდგმის და შენი გორისა.
ცის კიდემდე რომ ამაღლდე, კიდეც,
ფესვის გარეშე არაფერი ხარ.

ყოველი წამი თვალზე ბანგია,
მოუთოკავი ლტოლვა-ცისკარზე,
თითქოს ბალიშზე ვშუშავ ნატყვიარს,
თითქოს, მზის სხივით ვკურნავ იარებს.

დრო, ნეტარებით, არღვევს ჯებირებს
მოუსვენარი ღამის წყვდიადში.
ზოგჯერ, სხივები მიკრეფენ იებს
დაუჯერებელ სიზმრების ბაღში.

ვერ დამიცავენ ყინვის ამქრები
კართან დაბმული ღამის ღრენისგან.
ვწევარ ლოგინში და ვქმნი ურჩხულებს
თვალზე დახატულ ცრემლის წვეთისგან.

მარტო არა ვარ, როგორც ყოველთვის,
სჯობია, ჩუმად ვიწამო ღმერთი.
როცა დუმილში ვაცხოვრებ ფიქრებს,
მიწის და ზეცის ჩურჩული მესმის.

წუთისოფელი ნანას მიმღერის,
ნათელს უხმობენ უკუნეთიდან,
აჩხაკუნებენ სათამაშოებს,
მესმის მამის ხმა, სადღაც შორიდან.

ო, უშორესო და ასე თბილო,
როგორ დაგმალო წამწამთა ჩრდილში?
როდესაც მცივა, მსურს, შენთან ვიყო,
ვით ძუძუებში ჩამძვრალი ჩვილი.
დილის საარზე თვალი გამექცა,
დატკბა სიზმარი მწიფე ხილივით
და ფრინველებით მოირთო ზეცა,
გაღვიძებული, ჟივილ-ხივილით...

## სულის თავთავი

ტალღები ჯებირთან თავებს იხოცავენ,
დაკარგულ ოცნებებს შეჰყავთ გემი ზღვაში
და ამ უთავბოლო დღეთა დასატუქსად,
შევტრი სამყაროს, როგორც დედას — ბავშვი.

სევდიან თვალებს ღიმილი გაეპარა,
ქარი, პაემანზე, ვარდის ფურცლებს მართმევს.
როგორი ლამაზია, გახედეთ! გახედეთ!

ქარი ხელებიდან ვარდის ფურცლებს
მართმევს...

ო, რა საშიშია ქარი ცივ ზამთარში!..
ოცნებებთან ერთად ცაში ფრენა მინდა.
მე დედამიწაზე დამაბეს ფიქრებით,
ფეხქვეშ დნება თოვლი, სანთელივით წმინდა.

ო, რა უსაზღვროა ღმერთი, უშორესი,
თვალთა არეს ზღუდავს ღამის მოჩვენება.
რასაც ცაში ვეძებ, იქნებ ის ჩემშია,
იქნებ ის არ მაძლევს, ახლაც, მოსვენებას?!..

ასე მდუმარეა ჩემი შეძახილი!..
სადაც გამივლია, ცრემლი მითესია.
რატომ აღარ მახსოვს, აქ რისთვის მოვედი,
ჩემი არსებობა სხვისთვის რა ხილია?

თვალი ამიხილეთ თქვენი სულგრძელობით,
იცით, მხარში დგომა როგორ მომენატრა?!..
სამყარო ამემღვრა თავში, მორევივით,
კალოზე, კევრივით ვლეწავ სულის თავთავს.

ამოხეთქე, გულო, სისხლის შადრევანი!
წმინდანთა სავანე ეშმაკს ვინ უბოძა?..
როცა არიგებდნენ კორკოტს სულებისთვის,
იქნებ, სულის საზრდო, იმ დროს,
მეც მინდოდა?..

იქნებ, ჩემი ტყვია, უკვე, ნასროლია?..
ვაი, თუ ჩემი დრო სხვისთვის წარსულია...
გარეთ გავლა მინდა, რბოლა — იალაღზე,
მეც მსურს, ვიხილო ცხოვრების სილამაზე!

ფიქრი, გამხმარ ტოტზე, ოცნებით მიუბამთ,
ჟამი აფხვიერდა დაკოჟრილ თითებში.
რომ არ დაენახათ ჭილობში სისუსტე,
თვალი ამოვივსე დაბმული ცრემლებით.

დილის რიჟრაჟია, წითლად შეფერილი,
ქვეყანა იღვიძებს სავსე სიყვარულით.
თქვენი საძოვარი ჩემი სამშობლოა
ხოხბის ბუმბულივით მორთულ-მოკაზმული!...

## ვარდის კოკრიანო

მაყვლის წვენში ამოვლებულო,
სულის ელექსირო,
აბა გაბედოს და
ვინმემ მოგეფეროს!..

რად ხარ ასე მიმზიდველი,
რად მიღვივებ გულში სურვილს?
ამ გაყინულ სამყაროში
რა ვალი გაქვს წუთისოფლის?..

ქალო, ვარდის კოკრიანო,
გაწოლილო კაცის თვალში,
ღვინოც შენ ხარ, პურიც შენ ხარ,
მიბრძანე და სუფრას გავშლი!..

* * *

თოვლი მოვიდა, როგორც იქნა...
ჩემი ბავშვობა მოითრევს ციგას.
მინდა, რას იზამ, ბავშვობა მინდა,
ვხედავ ჩემს თავს და იმ ლამაზ სიზმარს.

თვალებში ფიფქი გამეყინა,
თითქოს, ბავშვობა შეახმა ცივ თვალს.

გარეთ კვლავ ბარდნის, ბარდნის და ბარდნის,
ვხედავ ჩემს თავს და ბავშვობის სიზმარს.

რად მისრიალებს ციგა თავქვე,
მე ხომ აღმართზე სრიალი მიყვარს?
ჩემთვის სამყაროს ვინ გაასწორებს,
ციდან მოვჩანვარ სულ ერთი ციდა?

## ზამთრის ცივი დღე

დილის სიზმრებით ვერთობი თოვლში,
ჩოღუმს და ქარბუქს ვეჩურჩულები.
უკან მომყვება ზამთრის ცივი დღე
მარხილითა და ზანზალაკებით.

მოჭედილია ცა ბრჭყვიალებით,
ნაძვის ხეებზე სხედან ფიფქები.
ცხენების ქშენა გამიღებს ჭიშკარს,
მესმის ყეფა და მამლის ყივილი.

საცოდავია ღამე, უჩემოდ,
ჩამი-ჩუმი თუ ყურებს არ ართობს.
დედამიწაზე ყოფნა მაშინ ღირს,
როცა კაცის ხმა ყინულს გაადნობს.

## სიცოცხლე კარგია

თანდათანობით ცივდება დედამიწა.
ქარი ჭირისუფლის თავშალს აფრიალებს.
ოცნებებს, ფრთებივით,
ვიქნევ ღრუბლებში და
ცრემლიან თვალებში ვხატავ ია-ვარდებს.

სანთლები ამსხვრევენ ჯოჯოხეთის კედლებს,
უფალი გაექცა ჩაბნელებულ ცას,
როდესაც ჭინკები როკავენ ჩემს გვამზე,
მინდა ვიწამო, რომ უფალი ვერ ხედავს.

სილას ნუ გამაწნავთ, ლოყას ვერ მოგიშვერთ,
კაცის დამცირების უფლება არა გაქვთ!..
ადამიანებმა, ამ ცივ სამარეში,
როგორ მიმატოვეთ სიკვდილის ამარა?!

ფოთლების შრიალი არწევს გამხმარ ტოტებს,
საკუთარი თავი მხრებზე ტვირთად მაწევს.
თუნდაც იალაღზე სძოვდეს ხარ-ირემი,
რა ფასი აქვს ჩემთვის გადამალულ
ამ წლებს?...

მწიფე თავთავები ზღვაში დაცურავენ.
სულის ღელვაა და ყანა-ოქროსფერი.
სილას ნუ გამაწნავთ,
ლოყას ვერ მოგიშვერთ!..
სიცოცხლე კარგია, თანაც — მშვენიერი;

ჩიტების ჭიკჭიკს მივდევ ფეხდაფეხ,
მსურს, მზის ამოსვლას
მწვერვალზე შევხვდე.

„მტერი ხარო“, გესმით?!...
თვალებს ბოღმა ახრჩობს,
„ვეფხისტყაოსანი“, თურმე, მელანია!..
რატომ დავატარებ სახედრის უნაგირს,
როცა სამყაროში ღმერთის შედევრი ვარ?!..

გაშალე ხელი, ვითომ გაფრინდი,
მთავარი არის, იგრძნო სილაღე,
არწივის ფრთებით შემოუფრინე
ცაში ატყორცნილ მთების მწვერვალებს!

## პატივცემულო რედაქციავ!

გთხოვთ, დედაქალაქის მესვეურთ გაცნოთ ჩემი შეკითხვა: ზოოპარკის მხრიდან წამოსული გზა გაივლის თუ არა ვერის კალაპოტთან არსებულ მონაკვეთს, სადაც ყოფილი ტრიკოტაჟის ქარხნის ადგილზე გათვალისწინებულია მრავალსართულიანი სახლების ჩადგმა. ალბათ, მიწის ქვეშ გათვალისწინებული იქნება ამ გზის შეერთება სანაპიროსთან.

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ პასუხი, რამდენად შესაძლებელია ეს ვარიანტი.

პატივისცემით
გრიშა მერკვილიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

## ანდრეს გაბეტა და ანტონიო ვივალდის მუსიკალური სამყარო

### უიშვიათესი კონცერტი თბილისში

28 აპრილს, 20:00 საათზე, ალექსანდრე გრიბოედოვის თეატრის დიდ დარბაზში, უნიკალური კონცერტი გაიმართა, სადაც მსმენელის წინაშე საერთაშორისოდ აღიარებული არგენტინელი ვირტუოზი, მევიოლინე და დირიჟორი ანდრეს გაბეტა ბაროკოს ორკესტრთან ერთად წარდგა.




□ბაროკოს ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი თანამედროვე მუსიკალურ სამყაროში. განსაკუთრებული დახვეწილობისა და ენერგიის მქონე მევიოლინე და დირიჟორი, ის სცენაზე ნათლად აცოცხლებს ბაროკოს ეპოქის ბრწყინვალებას, დრამატურგიასა და ელეგანტურობას.

არგენტინაში დაბადებულმა და ევროპაში დამკვიდრებულმა გაბეტამ გამორჩეული კარიერა შექმნა, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში გამოსვლებით და წამყვან ისტორიულ ინსტრუმენტულ ანსამბლებთან თანამშრომლობით. ანტონიო ვივალდის მუსიკის სპეციალისტის რანგში, ის აერთიანებს ვირტუოზულ ტექნიკას სტილისტურ ავთენტიკურობასთან, გვთავაზობს როგორც სამეცნიერო, ასევე ელექტრონულ ინტერპრეტაციებს.

ვიოლინოდან ორკესტრის ხელმძღვანელობის იშვიათი უნარით, გაბეტა ქმნის მე-18 საუკუნის შესრულების პრაქტიკის დინამიკურ სულისკვეთებას □სადაც სოლისტი ხელმძღვანელობს, აყალიბებს და შთააგონებს ანსამბლს შიგნიდან. მისი □ოთხი სეზონის□და ბაროკოს სხვა შედევრების შესრულება აღიარებულია ხმის გამჭვირვალობის, რიტმული სიცოცხლისუნარიანობისა და ექსპრესიული ინტენსივობისთვის, მისი მხატვრული ხელმძღვანელობით, ბაროკოს ორკესტრი უბრალოდ ანსამბლზე ბევრად მეტ □ცოცხალ, მსუნთქავ ინსტრუმენტად იქცევა. ყველა ფრაზა მეტყველებს; ყველა კონტრასტი ბრწყინავს; ყველა მოძრაობა ისტორიას ჰყვება.

ანდრეს გაბეტასთან ერთად საღამო უბრალოდ კონცერტი არ იყო □ეს იყო მოგზაურობა ვენეციური ბრწყინვალების ოქროს ხანაში, სადაც ვირტუოზულობა ელეგანტურობას ხვდება და მუსიკა თეატრალური ცხოვრებით იწვის□..

კონცერტი ალექსანდრე გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრში გაიმართა.



# კვარადონადან — კვარტანიანამდე

**მაშინ, როცა აქტუალურია საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის საკითხი, რატომ ვაჭიანურებთ ევროსტრუქტურებსა და საელჩოებში დასაქმებულ თანამემამულე პროფესიონალთა სხვა მიმართულებებით დასაქმებას?**

კარგად გვესმის, რომ საამისოდ დიპლომატიური განათლებით აღჭურვილ მოხელეთა მოძიებაა საჭირო, მაგრამ, ვფიქრობთ, **ხვიჩა კვარაცხელიას** სახით ქართულ სახელმწიფოს უკვე ჰყავს თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ცივილიზებულ სამყაროში და ბევრი არაფერი დაშავდება, თუ მას ნდობას შესაბამისი დიპლომის არქონის შემთხვევაშიც გამოვუცხადებთ.

ეს, ასე ვთქვათ, ნახევრად ხუმრობით, სერიოზულად კი მთელმა ერმა უნდა იამაყოს თვითნაბადი ტალანტის ახალი მიღწევებით, რომლებსაც თვლა აღარა აქვს და სინანულით უნდა ითქვას, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრები დამდეგ მუნდიალს მიღმა დარჩა, თორემ ჭვაროსანი ელჩი საფუძვლიანად გამოთქვამდა პრეტენზიას სეზონის ოქროს ბურთით დასაგვირგვინებლად. ვიმედოვნებთ, არც ეს დღეა შორს, ახლა კი ფრანგი კომენტატორის ლიტერატურულ და პოლიტიკურ განსწავლულობას გავუსვათ ხაზი, რომელიც მიუნხენის მრისხანე ბაიერნთან ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩასაწერი პირველი ნახევარფინალური რაუნდის რეპორტაჟის დროს იტალიაში **კვარადონად** მონათლულ ქართველ მეგავარსკვლავს ხან **კვარტანიანად,** ანუ დიუმას „სამი მუშკეტერის“ უკვდავ პერსონაჟ **დარტანიანის** პროტოტიპად, ან, რაც კიდევ უფრო აღსანიშნავია, **კვარპოლეონად,** ანუ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენის – კორსიკელ იმპერატორ **ნაპოლეონის** სადარ თანამედროვე ფიგურად მოიხსენიებდა. რასაკვირველია, ეს გადაჭარბებული შედარებაა, მაგრამ ხომ შეიქმნა უკვე თავისი ჭერაც ხანმოკლე კაშკაშა კარიერით მსგავსი პარალელის გასავლებად ნოყიერი ნიადაგი პარი სენ-ჟერმენის ლიდერმა?

სხვა თუ არაფერი, წლევანდელი პირადი მონაგრით – 10 გოლი და 5 ასისტი – იგი ფრანგული გრანდის რეკორდსმენი გახდა ერთ გათამაშებაში დაგროვებული ჯამური 15 ქულით! არადა, ნუ დაგვავიწყდება, რომ პარკ დე პრენსზე ახლო წარსულში ისეთი ზღაპრული სტატისტიკით გამორჩეული დიდოსტატები ბრწყინავდნენ, როგორიც არიან თვით მესი, მბაპე, ნეიმარი, იბრაჰიმოვიჩი, კავანი და მრავალი სხვა.

**პარი სენ-ჟერმენი – ბაიერნი 5:4**

**გოლები: კვარაცხელია (2), ნევეში, დემბელე (2); კეინი, ოლისე, უპამეკანო, დიასი.**

ეს წყვილი სამართლიანად შეირაცხა ფინალად ნახევარფინალში, მაგრამ თუ მასპინძლები ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მოქმედი ტრიუმფატორები არიან, რერის **კეინისა** და ჯადოქარი ფლანგების – **ოლისესა** და **დიასის** შემადგენლობით.

აი, ასეთ კამპანიაში დადგა მორიგი სპექტაკლი კვარამ და ფეხბედნიერ 2026-ში უკვე მე-4 დუბლი შეასრულა ჩელსის, ისრაელის ნაკრებისა და ნანტის შემდეგ, თანაც მის წინაშე კაპიტულაცია პლანეტის ერთ-ერთმა უძლიერესმა მეკარემ **ნოიერმა** გამოაცხადა, რომელმაც ხუთივე ზუსტი დარტყმისას გაუშვა ბურთი და მთელი საღამოს განმავლობაში უსუსურად გამოიყურებოდა (ერთ ეპიზოდში ძელი დაეხმარა).

**და ბოლოს:** თვით ის ფაქტი, რომ სათამაშო დროის საკმაოდ სოლიდური ნაწილის მანძილზე სტუმართა აშკარა უპირატესობის კორდმაისტერი მთელი სეზონის განმავლობაში მუსრს ავლებს ყველას და ყველაფერს და ბელგიელ **ვენსან კომპანის** მიერ გაუმჯობესებული სუპერგამგუდავი ტოტალური ფეხბურთის ნაირსახეობით შეუფერხებლად მიიწევს ტიტულებისკენ.

ბუნებრივია, ბაიერნი სრულყოფილად გამართული გუნდური მექანიზმია, მაგრამ მისი სიძლიერე არანაკლებ უკავშირდება მოიერიშეთა დამრტყმელ ტრიოს მთელ მინდორზე მებრძოლი უბერებელი ბომბარდირის **ლუის ენრიკეს** გუნდი ერთ ეპიზოდში 5:2(!)-ს იგებდა და საფინალო სასტვენის შემდეგ მაინც გაიფორმა თითქმის უძლეველ გერმანულ არმადასთან რევანში რეგულარულ ეტაპზე დამარცხებისთვის, უკვე გახლავთ სპორტული გმირობა.

ხომ იცით – მადა ჭამაში მოდის, ჰოდა ნუ გამოვრიცხავთ, რომ როგორც შარშან ამერიკულ საკლუბო მუნდიალზე, პსჟ-მ ალიანს არენაზეც შემოგვთავაზოს ძლევაი საკვირველი.




**ერთი შეხედვით, თითქოს საკმარისად ვისაუბრეთ ხვიჩასა და მის პარტნიორთა შესახებ, მაგრამ სიხარულით დავძენთ, რომ ახალი თაობის ყოჩისა და, საერთოდ, თანამედროვე ქართული ფეხბურთის რენესანსის გამოხატულებად შეგვიძლია შევაფასოთ ფიფას მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც 2029 წელს საქართველო და სომხეთი ერთობლივად უმასპინძლებენ 20-წლამდელთა მუნდიალს.**

**ვულოცავთ ქართულ სახელმწიფოს!**




# სამშობლოში — მედლებით

**30 ქვეყნის 3000-ზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა უნგრეთის ქალაქ ეგერში, სადაც შოტოკან კარატეში ევროპის მე-15 ჩემპიონატის მედლები გათამაშდა.**

ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მსოფლიოს 4-გზისა და კონტინენტის 5-გზის გვირგვინოსანმა, მრავალი პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა, შავი ქამრის მე-5 დანის მფლობელმა, საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის უფროსმა ინსტრუქტორმა **ჭაბუკა მახარაძემ** ზედიზედ დაამარცხა მასპინძელი, სერბი და ლიეტუველი მეტოქეები, მაგრამ ფინალური ბრძოლა რუმინელთან დათმო და ვერცხლს დაეუფლა.

ოსტატს ღირსეულად აუბა მხარი მისმა უნიჭიერესმა შეგირდმა **ანდრია საათაშვილმა**, რომელმაც 12-13 წლამდელთა კუმიტეში (+58 კგ) ბრინჯაო დაიმსახურა.

# ქეცბას შეხვედრა წარსულთან

**რაც არ უნდა დავაბრალოთ რომან ფიფიას, პერიოდულად ისეთ ნაბიჯებს გადადგამს ხოლმე, რომ მზადა ხარ კაცი, თბილისის დინამოს პრეზიდენტს ყველაფერი აპატიო.**

ჯერ იყო და **ვიტალი დარასელიას** სახელობის საფეხბურთო აკადემიის შექმნით ეროვნულ ნაკრებს ის თაობა შეაშველა, მონატრებულ წარმატებათა გემო რომ გაგვახსენა, ამ დღეებში კი სამშობლოში, არც მეტი, არც ნაკლები, **თემურ ქეცბაია** დააბრუნა, რომელმაც სახელოვანი კარიერა სოხუმის დინამოში დაიწყო.

ზოგი ჭირი მარგებელიასი არ იყოს, რომ არა თბილისის დინამოს გაჭიანურებული კრიზისი, კვიპროსში გადაცხოვრებული ჯიგრიანი თამაშის განსახიერება აქეთ ალბათ კარგა ხანს არ გამოიხედავდა, მაგრამ როცა ევროპაში სადარბაზო ბარათის მიმცემი კლუბის საშველად უხმეს, ყველაფერი გვერდზე გადადო და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საკულტო დიღმის ბაზაზე ისევ დაიდო ბინა.

წყალტუბოში სამგურალთან წარმატებულ დებიუტამდე (2:1) ქეცბამ ქართული ფეხბურთის ფლაგმანთან კონტრაქტი 2028 წლის ბოლომდე გააფორმა და პრესკონფერენციაზე საინტერესო თემებსაც შეეხო:

**„ეს ჩემი გუნდია, აქ გავიზარდე და ყველაფერს გავაკეთებ, როგორც მთავარი მწვრთნელი, რომ დინამომ ძველი დიდება დაიბრუნოს.**

**საჭიროა, მოვიყვანოთ გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებიც გუნდსაც დაეხმარებიან და ახალგაზრდა ფეხბურთელებს – გაზრდაში, თანაც ადაპტაციის გარეშე დაუყოვნებლივ ითამაშებენ. დიახ, ყველა ახალწვეული ჩემი თანხმობით მოვა და ისეთები მინდა მოვიწვიოთ, რომელთაც ვიცნობ და მჯერა, რომ დინამოს დაეხმარებიან.**




**მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტისგან ყველანაირი მხარდაჭერა გვაქვს გასაძლიერებლად, ოღონდ სამწუხარო ისაა, ტრიბუნები რომ ცარიელია ჩვენ ულამაზეს სტადიონზე.**

**გუნდს, რომელსაც ევროპული თასი აქვს მოპოვებული, შესაბამისი ამბიცია უნდა დავუბრუნოთ და გამიხარდება, თუ ამას 3 წელიწადში შევძლებთ, თუ არა და ამ პროექტის გაგრძელება სხვას მოუწევს. რაც შეეხება თორნიკე კვარაცხელიას, მიმაჩნია, რომ არ არის ნაადრევი მისი ასაკის მოთამაშის მოყვანა და ძირითად გუნდში ვარჯიში“.**

# ბეისბოლი ყველასთვის

**საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გელა ჩიხრაძის და რენდი ბრაუნის წიგნის – „ბეისბოლი ყველასთვის“ პრეზენტაცია.**

აღსანიშნავია, რომ გელა ჩიხრაძე არის საქართველოში ბეისბოლის ერთ-ერთი შემომტანი და დიდი წვლილი მიუძღვის სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციაში.

ავტორის განცხადებით, სახელმძღვანელოში გადმოცემულია ორმოცი წლის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება. დეტალურადაა აღწერილი ბეისბოლის წესები, სათამაშო მოედნისა და მოთამაშის აღჭურვილობის სტანდარტები. იგი



პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს, არა მხოლოდ უშუალოდ სპორტსმენებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, არამედ ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის დონის ამაღლებას. ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის – **ვახტანგ ნორაკიძის** თქმით, წიგნში, წესებთან ერთად, ასევე საინტერესოდაა მოთხრობილი, თუ როგორ მკვიდრდებოდა ბეისბოლი საქართველოში, ბეისბოლის მოყვარულთა კლუბის შექმნისა და საქართველოს პირველი ნაკრების წარმატებული ასპარეზობის ისტორია. წიგნი სპორტის სამინისტროსა და ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით გამოიცა.

# როცა ოქრო გვენატრება

**მართალია, კლასიკოსთა მსგავსად, ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში საქართველოს ჰიმნი ვერც ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ჭვაროსანმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ააჟღერეს, მაგრამ მათი შედეგი გაცილებით მიუღებელია – სხვა თუ არაფერი, ბერძენ-რომაელებმა 3 ფინალურ ბრძოლაში მაინც სცადეს საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შებიჯება მაშინ, როცა მათმა თანამემამულეებმა ტურნირზე მხოლოდ 4 ბრინჯაო დაიმსახურეს.**

უკვე გაუწყეთ, რომ ნავსი **აკაკი ქემერტელიძემ** (70 კგ) და **გივი მაჭარაშვილმა** (97 კგ) გატეხეს, ფორუმის დასკვნით დღეს კი მათ რაჭველმა ფალავნებმა – **ვლადიმერ გამყრელიძემ** (86 კგ) და **მირიან მაისურაძემ** (92 კგ) მიბაძეს.

აღსანიშნავია, რომ მძიმე წონაში მკერდი ოქროთი ონელმა გოლიათმა **გიორგი მეშვილდიშვილმა** დაიმშვენა, ოღონდ მისი ჯილდო აზერბაიჯანელთა ყულაბაში ჩაჩხრიალდა.



## ავტოსაგზაო შემთხვევას მცირეწლოვანი ემსხვერპლა



**მარნეულ-ბოლნისის გზატკეცილზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ცურტავში ტრაგედია დატრიალდა – ველოსიპედით მოძრავ 10 წლის ბავშვს ავტომობილი დაეჯახა.**

მძღოლმა ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში თავად გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. **სამართალდამცველებმა 10 წლის ბავშვის დაღუპვის ფაქტზე 19 წლის ბიჭი დააკავეს.**

## 19 წლის ბიჭი ტრაგიკულად დაიღუპა



**გურიაში ტრაგიკულად დაღუპულ ახალგაზრდას გლოვობენ. სოფელ შემოქმედში მცხოვრები 19 წლის ბიჭი ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა.**

23 აპრილს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული **გიორგი სურგულაძე** რამდენიმე დღე კლინიკაში იმყოფებოდა, თუმცა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და ახალგაზრდა გუშინ, 27 აპრილს გარდაიცვალა.

## არასრულწლოვანი ბავშვების თანდასწრებით ყოფილ მეუღლეზე იძალადა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ძალადობის, ადევნებისა და ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის ბრალდებით 1994 წელს დაბადებული გ.ხ. დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ახმეტის მუნიციპალიტეტში, ყოფილი მეუღლის – 1996 წელს დაბადებულ ქ.რ.-ს საცხოვრებელ სახლში უნებართვოდ შეაღწია და არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით მასზე ფიზიკურად იძალადა, ასევე, დადგინდა, რომ ბრალდებული სისტემატურად უთვალთვალებდა ქ.რ.-



ს. პოლიციამ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.ხ. ბრალდებულის სახით დააკავა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა, 11 პრიმა 151-ე პრიმა და 160-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## პროკურატურამ ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა

**პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 24 აპრილს, ბრალდებული თანამზრახველებთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ვედიდკარში დაზარალებულის ოჯახს და მუქარით მიისაკუთრა დიდი ოდენობით თანხა.**

უწყების ცნობით, გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული დანაშაულის მომზადების და ჩადენის შესახებ ბრალდებულმა ინფორმაცია მიაწოდა მეორე პირს, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების და ჩადენის შესახებ იცოდა, სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა.

**□სამართალდამცველებმა ბრალდებულები 2026 წლის 26 აპრილს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის □ბ□და მესამე ნაწილის □ბ□, □გ□ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით) და 376-ე მუხლის მეორე ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების და ჩადენის შეუტყობინებლობა) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს□**

## სათამაშო ბიზნესის სფეროში დაწესებული ჯარიმები გაიზარდა

**პარლამენტმა 86 ხმით, პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა □ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ□კანონში ცვლილების შეტანას.**

კანონპროექტი ითვალისწინებს სანებართვო პირობების დარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმების ოდენობების გაზრდას. კერძოდ, **სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელთა მიმართ ჯარიმის ოდენობა □7 000 ლარის ნაცვლად, განისაზღვრება □20 000 ლარით.**

**□სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელთა მიმართ ჯარიმის ოდენობა □1 000 ლარის ნაცვლად, განისაზღვრება □10 000 ლარით.**

**აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელთა მიმართ ჯარიმის ოდენობა □2 000 ლარის ნაცვლად, განისაზღვრება □10 000 ლარით.**



**აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მფლობელთა მიმართ ჯარიმის ოდენობა □2 000 ლარის ნაცვლად, განისაზღვრება □10 000 ლარით, ხოლო სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის, სათამაშო აპარატების და ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვის მფლობელთა მიმართ დაწესებული ჯარიმის ოდენობა □7 000 ლარის ნაცვლად, განისაზღვრება □20 000 ლარით. კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა, ავტორი კი □საქართველოს ფინანსთა სამინისტრო□**

## შსს-მ ნარკოდანაშაულის ბრალდებით 84 პირი დააკავა

**ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულია 84 პირი და ამოღებულია სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები, ასევე ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა,** □ამის შესახებ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, **დავით კიკნაძემ** ბრიფინგზე განაცხადა.

დაკავებულებს შორის არიან როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

დაკავებულების პირადი, საცხოვრებელი სახლებისა და ავტომობილების ჩხრეკისას, ასევე მათ მიერ მითითებული ადგილებიდან ნივთმტკიცებად ამოღებულია სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, მათ შორის: **□ჰეროინი□, □კოკაინი□, □მეთადონი□, □ბუპრენორფინი□, □მარიხუანა□და სხვა. ასევე ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებების დაფასოებისთვის საჭირო მასალები და, სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა. ჩადენილი დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს**.



სანთელი

## გარდაიცვალა ჩუქურთმა გუდიაშვილი



**საქართველოს კულტურის სამინისტრო ბალერინას და პედაგოგის, ჩუქურთმა გუდიაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.**

**კულტურის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და ახლობლებს.**

**□ქალბატონმა ჩუქურთმამ, როგორც ბალერინამ და პედაგოგმა, დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებაში. ის იყო ლადო გუდიაშვილის შვილი და ცნობილი საოპერო რეჟისორის, გურამ მელივას მეუღლე □ქართული კულტურისთვის მნიშვნელოვანი ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი□,** □აღნიშნულია კულტურის სამინისტროს სამძიმრის წერილში.

**ბალერინა და პედაგოგი ჩუქურთმა გუდიაშვილი 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.**

## თბილისში, სავარაუდოდ, თხევადი გაზის სადგურები დაიკეტება!

**თხევადი გაზის ასოციაციის ხელმძღვანელი ნიკა ხოფერია „ბიემჯისთან“ ამბობს, რომ თბილისში, სავარაუდოდ, თხევადი გაზის სადგურები დაიკეტება.** მისივე თქმით, თბილისის მუნიციპალური ინსპექციის მიერ ობიექტების დაჯარიმების პროცესი გრძელდება:

**□ვითარება უცვლელია. დაჯარიმებები გაფრთხილების გარეშე გრძელდება. მერიასთან კომუნიკაცია არ გვაქვს. გაუგებარია, ეს კანონი ჩვენ მიმართ, თანაც ამ ფორმით, რატომ აამოქმედეს. თუ მეორადი მანქანებისა და ნაწილების რეალიზატორებთან, ამ სფეროში დასაქმებულ პირებთან 5 წლის განმავლობაში მუშაობდნენ და მათ ალტერნატიულ ადგილებს ან შესაძლებლობებს სთავაზობდნენ, ჩვენ რა დავაშავეთ?!**

**თითო სადგურზე ჯარიმა 2 500-დან 5 000 ლარამდეა. თბილისში, ფაქტობრივად, ყველა ობიექტი დაჯარიმებულია, განმეორებითი ჯარიმები კი, როგორც ვიცი, უფრო მაღალია. ბევრმა უკვე შეაჩერა მუშაობა, რის გამოც დატვირთვა დარჩენილ ობიექტებზე გადანაწილდა.**

**გაურკვეველია, როგორ გავაგრძელებთ ფუნქციონირებას, როდესაც სანქციები სულ უფრო მზარდია. 170 000 მომხმარებელი გვყავს, ამ ადამიანებს რა პასუხი უნდა გავცეთ?! მიზანი ისაა, რომ ტერიტორია დავტოვოთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ □ცალ კარში ვთამაშობთ“. არ გვაქვს უკუკავშირი იმასთან დაკავშირებით, თუ სად უნდა წავიდეთ და რა უნდა გავაკეთოთ. სავარაუდოდ, დედაქალაქში გაზსადგურები დაიკეტება, თუმცა მერიამ უნდა გვითხრას, სად გადავიტანოთ ობიექტები. რასაც გვეტყვიან, იმას გავაკეთებთ, ოღონდ უნდა გვითხრან“** □ამბობს ის.

## 9 მაისის აღლუმი სამხედრო ტექნიკის გარეშე

**რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 81-ე წლისთავისადმი მიძღვნილი აღლუმი სამხედრო ტექნიკის გარეშე გაიმართება,** – ინფორმაციას BBC-ის რუსულენოვანი რედაქცია ავრცელებს.

აღლუმზე მისული ადამიანები სამხედრო ტექნიკისგან შემდგარ კოლონას და სამხედრო კურსანტებს ვერ იხილავენ. აღნიშნული გადაწყვეტილება **□მიმდინარე ოპერატიული მდგომარეობის გამო□**არის მიღებული. როგორც BBC წერს, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ 9 მაისის აღლუმზე სამხედრო ტექნიკა წარმოდგენილი არ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ აღლუმზე სამხედრო ტექნიკა არ იქნება, ღონისძიებაში ავიაცია მონაწილეობას მიიღებს, იუწყება გამოცემა.

# ყველაზე დიდი სიყვარული – შენ!



არ ვიცი, ზუსტად როდის დაიწყო, როდის გახდი ჩემი დღეების მთავარი აზრი და ჩემი ღამეების ყველაზე თბილი ფიქრი. მაგრამ ვიცი ერთი რამ — შენამდე ასეთი სიყვარული არ მიგრძვნია.

შენ ჩემში რაღაც შეცვალე, უფრო სწორად, გააღვიძე ის, რაც ალბათ ყოველთვის არსებობდა, მაგრამ შენამდე ვერ პოულობდა გზას.

შენთან ერთად გავიგე, რას ნიშნავს როცა ვიღაცის გარეშე უბრალოდ ვერ ხარ. როცა მისი ხმა გჭირდება, მისი შეხება, მისი არსებობა — როგორც სუნთქვა.

ყველაზე დიდი სიყვარული არ არის მარტივი. ის არ არის მხოლოდ სიცილი და ბედნიერება.

ის არის მონატრება, რომელიც გულს გიჭერს. შენს გარეშე ვერ წარმოვიდგენ საკუთარ თავს.

შენ ხარ ჩემი სიმშვიდეც და ჩემი ქაოსიც ერთდროულად.

შენ ხარ ჩემი ყველაზე სუსტი და ყველაზე ძლიერი ადგილი.

და იცი, რა არის ყველაზე საოცარი?

არასდროს მომბეზრდება შენი ყურება, შენი მოსმენა, შენი სიყვარული.

მე შენში დავკარგე თავი და პირველად, ეს დაკარგვა ყველაზე სწორად მეჩვენება.

თუ სიყვარული რამეს ნიშნავს —

ჩემთვის ის შენ ხარ. ყოველთვის.

შენ ხარ ჩემი დაბადების დღე. და მე დავიბადე შენი გაცნობისას.

**ნანკა გვარი**

# აჭარის პოპულარიზაცია ჩინურ ტურისტულ პლატფორმაზე

**ჩინეთის წამყვან ონლაინ ტურისტულ პლატფორმაზე „Tongcheng Travel“, რომელიც რამდენიმე მილიონიან აუდიტორიას მოგზაურობასთან დაკავშირებულ სრულ სერვისებს სთავაზობს, აჭარის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შესახებ მიაწვდის ინფორმაციას.**

გვერდის მარკეტინგის ხელმძღვანელმა აჭარაში იმოგზაურა და თავად გამოცადა ის ტურისტული პროდუქტები და სერვისები, რასაც აჭარა საერთაშორისო მოგზაურებს სთავაზობს.

Tongcheng Travel წარმოდგენილია სხვადასხვა სოციალურ პლატფორმასა და ციფრულ პორტალებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია WeChat-ის მინიპროგრამა, რომელიც ყოველთვიურად დაახლოებით 280 მილიონ აქტიურ მომხმარებელს აერთიანებს, ასევე Weibo, სადაც კომპანიის გვერდს დაახლოებით 180,000 გამომწერი ჰყავს.

**„მიმდინარე წლის მარტიდან, პოპულარულ ჩინურ პლატფორმებზე ასევე მიმდინარეობს აჭარის 9-თვიანი სარეკლამო კამპანია. კამპანიის ფარგლებში, აღნიშნულ გვერდებზე შეიქმნა ბათუმის საპრომოციო გვერდი Visit Batumi, რომლის მეშვეობით ჩინური გვერდების მილიონობით მომხმარებელი ეცნობა აჭარის სამთო-სათავგადასავლო, ეკოტურისტულ და საზღვაო ტურისტულ ადგილებს და წარმოდგენას იქმნის ბათუმის, როგორც ოთხივე სეზონზე მიმზიდველი ახალი ტურისტული მიმართულების შესახებ.**

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონს წელს შანხაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზეც წარადგენს, რომელზეც საქართველო ITB CHINA 2026-ს პარტნიორი ქვეყნის სტატუსით იქნება წარმოდგენილი** – წერია ინფორმაციაში.





## პატრიარქობის სამი კანდიდატი გვყავს:
# მეუფე შიო, მეუფე იობი და მეუფე გრიგოლი

**საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომაზე სინოდის წევრებმა პატრიარქობის სამი კანდიდატი ექვსი პრეტენდენტიდან შეარჩიეს.**

პატრიარქობის კანდიდატები არიან: კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი **შიო (მუჯირი)**, მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი **იობი (აქიაშვილი)**, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი **გრიგოლი (ბერბიჭაშვილი).**

**ფარული ხმის მიცემის შ**ედეგად კანდიდატთა ხმები ასე გადანაწილდა: **საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე შიომ მიიღო 20 ხმა, დანარჩენმა ორმა კანდიდატმა 7-7 ხმა.**

ამასთან, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის **ანდრია ჯაღმაიძის** ინფორმაციით, შესაძლო კანდიდატთა შორის იყვნენ: წალკელი ეპისკოპოსი **გრიგოლ კაცია,** ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი **დოსითეოსი,** მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი **მელქისედეკი.**

სამი კანდიდატიდან საბოლოოდ პატრიარქს გაფართოებული საეკლესიო კრება ფარული ხმის მიცემით შეარჩევს. გაფართოებულ კრებაზე კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის კენჭისყრაში მონაწილეობენ მხოლოდ მღვდელმთავრები. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც კრების მონაწილე მღვდელმთავართა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებს.

**გაფართოებული საეკლესიო კრება 17 მაისამდე უნდა გაიმართოს.**

# ივანე ჯავახიშვილით მეუფე დავითი (მახარაძე) დაინტერესდა



**ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ალავერდელი მიტროპოლიტი, მეუფე დავითი (მახარაძე) ესტუმრა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში მან დაათვალიერა ცენტრში მიმდინარე გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის არქივი და მემორიალური ნივთები.**

მეუფე დავითი განსაკუთრებული ინტერესით გაეცნო ექსპოზიციას, რომელიც ნათლად ასახავს ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მრავალმხრივ ცხოვრებასა და ღვაწლს.

**გამოფენა მოიცავს როგორც პირად ჩანაწერებსა და წერილებს, ისე უნიკალურ დოკუმენტებსა და საგნებს, რომლებიც მნიშვნელოვან ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს.**

# ათენას მარმარილოს ქანდაკება იპოვეს

**თურქეთის ანტიკურ ქალაქ ლაოდიკეაში ძველბერძნული ქალღმერთის, ათენას ქანდაკება აღმოაჩინეს. ის დასავლეთ თეატრში მიმდინარე გათხრებისა და სარესტავრაციო სამუშაოების დროს იპოვეს.**



დასავლეთი თეატრი, სადაც ათენას ქანდაკება იპოვეს, ძვ. წ. II საუკუნით თარიღდება. სკულპტურა ნაგებობის კედელში, ნანგრევების ქვეშ იყო მოქცეული. სავარაუდოდ, ის ნიშაში ან სვეტებს შორის იდგა. ქანდაკება თეთრი მარმარილოსგან არის შესრულებული და სიმაღლეში დაახლოებით 2 მეტრს აღწევს. ათენა მრგვალ საფუძველზე დგას, თუმცა მას თავი არ აქვს. სკულპტურაზე დეტალურადაა გამოსახული ტრადიციული ბერძნული სამოსი – პეპლოსი, რომელსაც მოსასხამი ასრულებს. ათენას მკერდზე განთავსებულია ეგიდი გველებით გარშემორტყმული მედუზას თავით. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სამოსის ნაოჭების რთული კვეთა და ქსოვილის ნატურალისტური გადმოცემა მოქანდაკის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს. ამ ქანდაკებას უნიკალურს ხდის ის, რომ მსგავს სკულპტურებში მოსასხამი იშვიათად გვხვდება. ათენას უკანა ნაწილი უხეშად დამუშავებული ჩანს. არქეოლოგების აზრით, ეს ნამუშევარი ავგუსტუსის ეპოქის (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.) ხელოვნებას განეკუთვნება.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 4 მაისს**